

1963



საქართველოს
 მნიშვნელოვანი
 საგანგებო
 გამოცემები

2 1963



ს თ ს

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
გ რ ა მ ბ ე

F-2720

19 თბილისი 63
აპრილი, მაისი, ივნისი
№ 2 (24)



ქართველთა ენციკლოპედია
ტ. 55 ნ. 1

რედაქტორი—გიორგი სიციხვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლილი ლოთათიძე

საკრედიტო კოლეგია: დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი,
ნ. გურაბანიძე, ო. ვეგაძე, დ. მჭედლიძე,
ბ. ქლენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე



ხელოვნების სივნიდისათვის

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად იქცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილება, იდეოლოგიური სიმბოციისა და იდეური სიწმინდის შემდგომი ცხელი აღმავლობით გასატარებლად, როგორც ამას მოითხოვს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ამხანაგ ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვის გამოსვლები იდეოლოგიური მუშაობისა და ხელოვნების ცხოვრებასთან დასაკავშირებლად.

მთელი ჩვენი ხალხი, შრომისა და შემოქმედების ადამიანები, დღეს კიდევ უფრო ცხოველი ინტერესით იხილავენ პარტიული სულისკვეთების ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელობას და სჯერათ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება მით უფრო გააზრდება რაც უფრო მტკიცედ დავიცავთ იდეოლოგიური ბრძოლის ლენინური სიწმინდეს, რაც უფრო მტკიცედ გავატარებთ პარტიის მოთხოვნას, რომ იდეოლოგიაში დაუშვებელია კომპრომისი, საბჭოურ პოლიტიკაში მიუღებელია შემთანხმებლობა ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობასთან, კაპიტალისტური სიმყაროს იდეოლოგიურ გადმონათობასთან. მხოლოდ მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური იდეური მოძღვრების პრინციპული, თანამიმდევრული გატარებით არის შესაძლებელი ახალი საზოგადოების, სოციალისტურ ურთიერთობაზე დამკვიდრებული პროგრესული პოლიტიკური სისტემის გამარჯვება, რამაც უნდა მიგვიყვანოს, და მიგვიყვანს კიდევ, დიად მიზანდემ—კომუნისმის სამუდამოდ დამკვიდრებამდე, ისეთი წყობილების გამარჯვებამდე, როცა მსოფლიოს არც ერთ ნაწილში ადგილი აღარ ექნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის, საზოგადოების დაყოფის, ანტიკონისტურ კლასებად, ისეთი მიჯნის მოპოვებას,

როცა არნახულად გაიზლება ადამიანის სულიერი სამყარო, როცა ხელოვნება და ლიტერატურა ადამიანის ცხოვრების ფიზიკური და სულიერი მოთხოვნის ნორმად გადაიქცევა იქაც, სადაც დღეს ეს ორივე დარგი შეძლებულთა კუთვნილებას წარმოადგენს და გაბატონებული კლასების მბრძანებლობის საშუალებად გამოიყენება.

დღეს კიდევ წარმოგებს ბრძოლა ორ იდეოლოგიას შორის—ბურჟუაზიულ და სოციალისტურ იდეოლოგიებს შორის. მათ შორის ბრძოლა მეორის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს, რადგან ეს გაპირობებულია პროგრესულის კანონზომიერი განვითარებით, დიალექტიკური მართებულობით. მგარამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაკი პროგრესულს, სოციალისტურ იდეოლოგიას მომავალი უწერია, ჩვენ თვითდინებას უნდა მივცეთ იდეოლოგიური მუშაობა, თვითდამშვიდებას მივცეთ და კაპიტალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა შევანლოთ. არა, ასეთი აზრი სრულიად მცდარია და მით უფრო სამწუხაროა, რომ საბჭოთა ხალხის დიდსა და ძლიერ ინტელექტუალში მანც განდნენ ზოგიერთი ადამიანები, რომლებიც ასეთი მანკიერი შეხედულების მხარდასაქერადაც კი გამოდიოდნენ.

საოცარია, მგარამ იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ცალკეული ხელოვანი და ლიტერატორები თავიანთი იდეური მოუმზადებლობის ან გადაგვარების შედეგად, ქებით იხსენებდნენ ორი სისტემის, ბურჟუაზიული და სოციალისტური სისტემის თანაარსებობის პრინციპს და მოითხოვდნენ, რომ ორი სისტემის თანაარსებობა სახელმწიფოებს შორის, გადაზრდიყო ორი იდეოლოგიის თანაარსებობის პრინციპში. მარქსისტულ-ლენინური მოძვრების გზას აცდენილი ასეთი პირები პოლიტიკურ სიბეცეს იჩენდნენ, კაპიტალისტური იდეოლოგიის წინაშე ქედს იხრდნენ და სოციალისტური იდეოლოგიის დამცირების გზას ადგნენ. ისინი ხოტბას ასხამდნენ ბურჟუაზი



ულ ხელოვნებას და ნიითხოვდნენ, რომ ჩვენ გვესწავლა მათგან, გადმოგვეღო მათი შემოქმედებითი გამოცდილება, მიგვეღო ბურჟუაზიული ხელოვნების მეთოდო, ხელი აგვედო სოციალისტური რეალიზმის პრინციპებ და გზა გაგვეხსნა ყველა ჯგურის „იშმისათვის,“ — აბსტრაქციონისტული ხელოვნებისათვის; ისეთი მანკიერი და ავადყოფური მიმდინარეობებისათვის, რომელთა მიზანი მდგომარეობს არა სიკეთისა და სინათლის, კეთილშობილებისა და იმედიანობის აღამიანთა შორის დაწერგვაში, არამედ ბოროტებისა და უსინათლობის, უიმედობისა და განწირულობის ატმოსფეროში მათ ჩათრევაში.

კომუნისტურმა პარტიამ დროულად შეაჩინა ასეთ მოქალაქეთა მოქმედება, ბოლო მოუღო აბსტრაქციონისტი მხატვრების სუმბურულ გამოფენებს, ბრძოლა გამოუცხადა კაკაფონიური მუსიკის ტენდენციებს, უიდეო და თვისმიზნურ თეატრალურ დადგმებს, იდეურად მანკიერ და მხატვრულად უმწეო კინოფილმებს, — ყოველგვარ მოვლენას, რომელიც ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის პოზიციებზე გადასვლას მოასწავებდა და კაპიტალისტური იდეოლოგიის წისკვილებზე წყალს ასხამდა.

ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ ორი იდეოლოგიის თანაარსებობისა. ასე იყო უწინ, ასეა ახლაც; პარტია არ დაუშვებს რაიმე კომპრომისს იდეოლოგიაში, ხელოვნებაში. მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჩვენი თეატრის მოღვაწეთა მონაწილეობა პარტიის ამ მართებული, მეცნიერულად და კლასობრივად დასაბუთებულ მოთხოვნის განხორციელებაში.

თეატრალური საზოგადოება, მისი მრავალრიცხოვანი წევრები საქმით უნდა ატარებდნენ ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის მოთხოვნას, რომ ხელოვნება არის მალღობრიბი, ტრიბუნა, საიდანაც ძლიერად გასმის კომუნისმის მშენებელთა ხმა; რომ ხელოვნება არის ის დიდი სარკე, რომელშიც უნდა აისახოს მშრომელთა გმირული ცხოვრება და შემოქმედება; რომ ხელოვნება ბრძოლის ველია, სადაც იმარჯვებს პროგრესული, მარცხდება ჩამორჩენილი, დროშოქმული და

ამით გზა ეძლევა ლამაზს, კეთილშობილს და ხალხისათვის სასიკეთოს. ხელოვნება უნდა ეხმარებოდეს აღამიანებს, რომ მათ წარმოებთით აშენონ საწუკვარი, ცხოვრება და დადებითი ჩვენების მაგალითზე წარმართავდეს მასებს საგმრო საქმეებისათვის, მშვიდობისა და კეთილდღეობის გასამარჯვებლად.

ქართული ხელოვნება, მთელი ჩვენი საზოგადოებრობა მხარში უდგას პარტიას ამ დიდი მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში, და ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხელოვნების დიდ მოღვაწეთა აქტიურ მონაწილეთა შორის, საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა ძლიერი და ნიჭიერი არამა შემდეგშიც საპატიო ავანგარდში იქნება.

მალე დაიწყება ახალი თეატრალური სეზონი. თეატრის მოღვაწეთა წინაშე ახალი, ნათელი და პასუხსაგები ამოცანები ისახება. გყოველი ახალი პიესა, ახალი სპექტაკლი ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. დისაგმობია ისეთი მდგომარეობა, როცა ზოგიერთი თეატრის მესვეური მარტო სალაროს საზომით აზროვნებს. თეატრმა პრინციპული ხაზი უნდა გაატაროს, ყოველ ახალ დრამატურგულ ნაწარმოებს მალღობრივ მოთხოვნით მიუდგეს, პარტიულობისა და იდეურობის საზომით შეაფასოს დრამატურგის შემოქმედება. დიდ კოლექტივს უფლება არა აქვს სცენაზე გზა მისცეს სუსტსა და უღლეურ პიესას. მაგრამ ასეთი პრინციპულობა იმასაც მოითხოვს თეატრის მესვეურთაგან, რომ უფრო ახლოს მივიდნენ მწერალთან, ხელი-ხელ ჩაკიდებულეებმა იმუშაონ ავტორებთან, დახეწონ პიესა და შექმნან სრულყოფილი სპექტაკლი, იდეურად ღრმა, მალღობრული თეატრალური ნაწარმოებები, რომელზედაც აღიზრდებიან აღამიანები და მათი თაობები.

პარტიის იგნისის გადაწყვეტილებები, აშხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები ხელოვნების საკითხებზე, — ჩვენი მუშაობის პროგრამაა. ამ პროგრამის გასახორციელებლად უნდა დიორაზმოს ხელოვნათა დიდი არამა, ამ მითითებათა ცხოვრებაში გატარებით ჩვენ გიტყვივით ჩვენს საპატიო სიტყვას, რომელიც დროისა და ეპოქის სიმაღლეზე იდგება.

საქართველოს საგვრთა მხარელების კავშირისა და საქართველოს

თეატრალური საზოგადოების გაერთიანებული კლენუმი

მიმდინარე წლის აპრილში ჩატარდა საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების გაერთიანებული რიგვარემ პლენუმი, მიძღვნილი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების კომუნისტური იდეურობისა და მაღალმხატვროლობის საკითხისადმი.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ.პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანხ. ლ. სტურუამ.

იმ გულითადი და გულწრფელი საუბრის შემდეგ, რომელიც კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრის დროს გაიმართა—აღნიშნა თავის შესავალ სიტყვაში ანხანაგმა ლ. სტურუამ ისევე როგორც საქ.კ.პ. ც. კომიტეტში გამართული თათბირის შემდეგ, სადაც ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად გულლიად იმსჯელეს საბჭოთა კულტურის განვითარების გზებსა და პერსპექტივებზე—კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ საქართველოს შემოქმედებით ინტელიგენციას ყველა ძირითად და პრინციპულ საკითხში არის პარტიასთან, მის ცენტრალურ კომიტეტთან და მთლიანად იზიარებს იმ კურსს, რომელსაც ასე მართებულად და თანამიმდევრულად ახსორციელებს ლენინური ცენტრალური კომიტეტი.

ანხ. სტურუამ, გამოთქვა რწმენა, რომ პლენუმზე გაიმართებოდა ფართი და სერიოზული მსჯელობა პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც გამოიმდინარეობენ თათბირის შედეგებიდან და რომ ქართველი მწერლები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კიდევ ერთხელ ცხადყოფდნენ თავის დარაზხულობას პარ-

ტიის გარშემო, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

შესავალი სიტყვის შემდეგ პლენუმზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობის მდივანმა ანხ. ს. ჭილაიამ.

მწერალთა საზოგადოებრიობაში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მე-4 პლენუმმა—განაცხადა ანხ. ს. ჭილაიამ,—უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ეს ინტერესი და მღელვარება გაპირობებული იყო იმ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტით, რომელიც შექმნა ჩვენმა სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ. მე მხედველობაში მაქვს,—დასძენს ანხ. ს. ჭილაია,—ანხ. ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვის სიტყვა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მწერლებთან და ხელოვნების სხვა დარგის მოღვაწეებთან შეხვედრის დროს და ამ თათბირის მასალები, რომლებიც საფუძვლად დაედო საქვეშირო მწერალთა კავშირის პლენუმის მთელ მუშაობას. პლენუმის მუშაობაში, ყოველი ორატორის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნული იყო, თუ რა დიდი მნიშვნელობისაა ის დოკუმენტი, რომელიც ჩვენმა პარტიამ შექმნა და რამდენად დროული, აუცილებელი იყო პარტიის ჩარევა ლიტერატურის საქმიანობაში, განსაკუთრებით იმ შეცდომების გამო, რომელიც ამ ბოლო წლებში გამოვლინდა მწერლობისა და ხელოვნების ზოგიერთი წარმომადგენლის მუშაობაში.

უკანასკნელ წლებში, საბჭოთა მწერლობას და ხელოვნებას—დასძენს ანხ. ჭილაია,—მნიშვნელოვანი და საინტერესო მიღწევები აქვს. ბევრი რამ დაიწერა და შეიქმნა ისეთი,

რითაც კიდევ უფრო გამდიდრდა ჩვენი მრავალკოფიანი საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება. მაგრამ როგორც ეს ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებაშიც იყო აღნიშნული, საბჭოთა მწერლების მუშაობა, ხელოვნების მივარჯობა — მხატვრების, კინომუშაკების, თეატრის და სხვა დარგის მუშაკთა მუშაობა — ჯერ კიდევ ბევრ შეცდომას და ხარვეზს შეიცავს, რომელთა დაძლევა და გამოსწორება ყოველად აუცილებელია.

შემდეგ ამხ. ს. ქილაიამ ილაპარაკა საქ. კ.პ.ც.კ.ის ინიციატივით გამართულ და იდეოლოგიურ საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირის შედეგებზე. ვააკეთა რა ქართული მწერლების მიერ ჩატარებულ შემოქმედებითი მუშაობის მიმოხილვა, მან დასძინა, რომ ქართული მწერლობა ყოველთვის იყო ერთგული რეალისტური ლიტერატურისა, მაღალ იდეურობისა და მუდამ მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ხალხთან.

გამორჩენილი ქართველი მწერალი და ბელეტრისტი მიხეილ ჯავახიშვილი ამ ორი ათეული წლის წინ წერდა — „ლიტერატურა არის ის მთავარი ხე, რომელსაც ცხოვრება აწოვებს თავის ძეძუს და ამიტომ არის მშვენიერი და ლამაზი იგი“. ებოძადა რა ფუტურისტულ და ცხოვრებისაგან მოწყვეტილ სხვა მიმართულებებს. ჯავახიშვილი ამბობდა, რომ ეს არის უხეირო შენაკადი, რომელიც ხელს უშლის მწერლობის განვითარებასა და წინსვლას.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ თანამედროვე ქართული მწერლობის შესახებ, არ შეიძლება არ მოვიხილოთ ის, რაც ნ. ხრუშჩოვმა საერთოდ მთელი საბჭოთა მწერლობის შესახებ თქვა; მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც რომ ქართულ მწერლობაში ჩვენ არა ვვაქვს მკვეთრად გამოხატული აბსტრაქციონიზმი და იდეურ-მხატვრულად მარკივიზ სახე გამოვლინებანი, რომლებიც დაზიანებულია ზოგიერთი მწერლისათვის. კომამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მხრივ საქართველოში არ არის ისეთი სავალალო მდგომარეობა როგორც სხვაგან, თუმცა შეცდომები ჩვენც ვვაქვს და ჩვენს ახალგაზრდობასაც ამ ბოლო ხანებში ჰქონდა ერთგვარი გატაცება იმ შტამპებითა და სქემებით, იმ სტილითა და თემებით, რომლებიც საზღვარგარეთელი მოდერნისტული მწერლობიდან არის ნასესხები. მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ, ყოველთვის მას ღრმა კვალი არ დაუშინებია საერთოდ ქართული მწერ-

ლობისათვის და ამ გზას. არც არავინ გაყოლია, ჩვენი მწერლობა, როგორც უფროსი თობა ასევე ახალგაზრდობაც, იდეურად ჯანსაღია და სწორ შემოქმედებით გზაზე დგას.

ილაპარაკა რა ქართველი მწერლების დამოკიდებულებაზე თეატრთან და კინემატოგრაფიასთან, ამხ. ს. ქილაიამ დასძინა, რომ ქართველი მწერლები ვალდებულნი არიან იმუშაონ თანამედროვეობის გამომსახველ პიესებზე. აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მათ კინოსცენარების მომზადების საქმეშიც, რათა ამით ხელი შეუწყონ მაღალ-მხატვრული ფილმების გამოშვებას.

მე მჯერა, — დასაკენის მომხსენებელი, რომ ქართული მწერლობა შეიარაღებული პარტიის მიერ შექმნილი ისტორიული დოკუმენტით შექმნის ისეთ ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც დიდ სამსახურს გაუწევენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის საქმეს.

მოსხენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და თეატრის მუშაკებმა.

კამათში გამოსულმა პოეტმა გრ. აბაშიძემ განაცხადა — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების უკანასკნელი შეხვედრა და ამხ. ხრუშჩოვის სიტყვა ამ შეხვედრისას, დიდად მნიშვნელოვანი მივლენა არა მარტო ჩვენი შემოქმედებითი ინტელექტუალური ცხოვრებაში, არამედ მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაშიც. ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებაში განზოგადებულია ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიის ხელმძღვანელობის ღირსი გამოცდილება, იგი იწყარება მარქსისტული ესთეტიკის საფუძვლებს და ლენინის ფუძემდებლურ დებულებებს. ამ მოხსენების ძირითად დასკვნებში ნაკარანხევია იმ კანონზომიერებით რომელიც წარმართავს ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას, მათი ჩასახვის და დიდ ჩვენს დროში, და რომელიც მომავალშიც დაჩრება სავალდებულოდ ყოველი ჰემარიტი ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის.

საკავშირო პლენუმი, აცხადებს სიტყვაში გამოსული პოეტი კარლო კალაძე, — იყო ღირსშესანიშნავი იმით, რომ როგორც ყველა მისი მონაწილე, სტუმარი, თუ პლენუმის წევრი, ყველა ორატორი, ყველა მშვიდობიანი მწერალი აღნიშნავდა იდეოლოგიაში მშვიდობიანი თანაარტობის შეუძლებლობას. იდურთ მშვიდობიანი ბრძოლა კვლავაც გრძელდება და ყველა საბჭოთა მწერალი უნდა ემსახუროს თავის-



ხალსს, უნდა ქმნიდეს ნაწარმოებებს, რომელიც ხალხის სულისკვეთებას გამოხატავს. ილაპარაკა რა ახალგაზრდობაზე ამხ. კალაძემ დასძინა, რომ გამოყოფა და დამირისპირება თაობებისა უცხო იდეოლოგიის პროდუქტია, ასეთი დაყოფა არც არსებობს. ვინც ამას აკეთებს, იგი ნებით თუ უნებლიეთ თაშვას ჩვენს მთლიან მონოლიტურ ძალას.

აქ ბევრი ილაპარაკეს ლიტერატურის შესახებ და მე მინდა ორიოდ სიტყვა თეატრზე მოვახსენოთ,—განაცხადა სიტყვაში გამოსულმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა რეჟისორმა არჩ. ჩხარტიშვილმა,—ამ შეხვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმ პრობლემის შეფასება და გადაჭრაში, რომელიც ჩვენმა პარტიამ ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე დასახა. რა თქმა უნდა, დღეს ჩვენი ქართული თეატრი ვერ პასუხობს იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც მას ჩვენი ეპოქა, ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი უყვანებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თეატრი ემყარება ისევ და ისევ დრამატურგიას, ისევ და ისევ მწერლობას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს რეპერტუარს ერთგვარი გამოცოცხლება და წინსვლა დაეტყო. ეს იმით აიხსნება, რომ ახალგაზრდა დრამატურგების გამოჩენასთან ერთად, მთელი რიგი ძველი დრამატურგები კვლავ დაუბრუნდნენ თეატრს, რაც უდაოდ სასიხარულოა.

მწერლებისა და თეატრის მუშაეების ურთიერთ შორის შემოქმედებითი მეგობრობა საყვარელი აუცილებელია. ვფიქრობ, რომ ეს გაერთიანებული პლენუმი, რომელიც მოწვეულია მწერალთა კავშირის და თეატრალური საზოგადოების მიერ, თავის როლს შეასრულებს ჩვენი ხელოვნების განვითარების საქმეში.

ჩვენში,—განაცხადა მწერალმა ნ. ჩაჩავამ,—საბედნიეროდ არა გვაქვს საგანგაშო მდგომარეობა. აბსტრაქციონიზმისა და სხვა ამგვარ გამოვლინებებს თუ გამოხდომებს ქართულ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში ადვილი არ აქვს. მაგრამ საუბედუროდ ჩვენ ვხვდებით მეორე არა სასიამოვნო მოვლენას, რაც არა ნაკლებ დასაფიქრებელი და ყურადღების ღირსია. ეს არის უცხოურით მერტივ-მერტივ გატაცება, ჩვენებურის—მშობლიურისადმი უგულო, ღმამიერი დამოკიდებუ-

ლება. ცხადია ეს მოვლენა დამატებითი ღონისძიება და ყველა იმ სასწავლო აღმზრდელურ ბითი დაწესებულებების პროგრამებში—როგორცია საბავშვო ბაღები, სკოლები, კინო, თეატრი, ესტრადა, რადიო, ტელევიზია და სხვა, იმდევარად უნდა იყოს შედგენილი, რომ ხელს უწყობდეს ჩვენი ნორის თაობის ესთეტიკური და კომუნისტური სულისკეთებით აღზრდის საქმეს. სამწუხაროდ, სახელმძღვანელოები ჯერ კიდევ არ არიან სრულყოფილად შედგენილი. არც სასწავლებლებშია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით დეკომპლექტებული, სახელმძღვანელოების შედგენაში საჭიროა მწერლების ჩაბმვა, ავიღოთ თუ გნებავთ,—აცხადებს ამხ. ნ. ჩაჩავა,—კულტურის ისეთი კერა, როგორცია მოზარდმაყურებელთა თეატრები. მათი რეპერტუარი არ შეეფერება საბავშვო თეატრის სპეციფიკას. მაგალითად: მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრი ძირითადად იკვებება თარგმნილი დრამატურგიით, თეატრმა ჩამოიშორა მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ქართველი დრამატურგები. ამასთან, იგი უფრო დიდ თეატრისაკენ (ესპერანო და რეალიზმის მანათი“ არის შეპყრობილი—უგამს ისეთ პიესებს, რომლებიც არც თუ ისე შეეფერება მის რეპერტუარს. მაგალითად, „ტარტიუვი“, არ იწვევს ქართველ დრამატურგთა თაობის და სხვა.

ილაპარაკა რა მწერლობისა და თეატრის მუშაეთა ურთიერთ მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ განაცხადა—ჩვენთვის დრამატურგის საკითხი ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია და სწორად მოიქცნენ ჩვენი ხელმძღვანელები, როდესაც თეატრალური საზოგადოებისა და მწერალთა კავშირის გაერთიანებული პლენუმის მოწვევა გადაწყვიტეს. დრამატურგის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია და იგი ყველაზე მეტადაც გვაღელვებს. ჩვენი თეატრები თენახერის შემდეგ დაამთავრებენ წლებიანდელ სეზონს და წარსდგებიან ანგარიშით საზოგადოების წინაშე, თუ რა გააკეთეს ამ ხნის განმავლობაში. ჩვენმა მწერლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამ საქმეში. ცხადია ჩვენ ამ მიზნით საგანგებოდ მოვიყრიით თავს და განვიხილავთ, როგორც დრამატურგის, ისე თეატრის ნაშუუფარს.



სამწუხაროდ, ზოგიერთ დრამატურგს თეატრის მხრივ პიესის რომელიმე ადგილის დაწუნება სამარცხენოდ მიაჩნია. ასეთი ავტორი გამოიხურავს რა თეატრის კარებს მაშინვე მოადგება თეატრის ძაგებს, და სრულადაც არ უფიქრდება იმას, რომ შესაძლოა თეატრის შენიშვნა სწორიც იყოს. რა თქმა უნდა, ეს არ არის ჯანსაღი დამოკიდებულება არც თეატრის კოლექტივისადმი და არც თავისი ნაწარმოებებისადმი. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის სამინისტროსთან არსებული სამხატვრო საბჭო ერთობ უმოკმელოა. ასევე სუსტად მუშაობენ თეატრის სამხატვრო საბჭოები. ამა რას გავს ასეთი დამოკიდებულება, რომ თეატრი დებულობს პიესას, მას სდგამს, ანონსიც გამოცხადებულია, ხოლო ამ დროს მას უხსნიან სპექტაკლს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ თეატრს ზარალი მოუვიდა, დრო დაეკარგა, დრამატურგი გაანაწყენეს... მაშინ, როდესაც ასეთ რაშიზე სამხატვრო საბჭოს თავიდანვე უნდა ეფიქრა და საქმე აქამდე არ მიეყვანა.


როცა ვფიქრობ დღევანდელი პლენუმის საფუძვლად დადებულ პარტიულ დოკუმენტებზე—აცხადებს სიტყვით გამოსული სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე—მოამწონს და მალეღებებს პარტიის მხარუნველი დამოკიდებულება თეატრისადმი და არა მარტო მე, არამედ აღმათ თეატრის ყველა მუშაკს! ეს საკითხები თეატრისათვის სასიცოცხლო საკითხებია. თეატრისათვის მთავარი დრამატურგია, რომელზედაც ჩვენ მუდამ ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ მას ჯერ კიდევ არაფერი ეწველა. მე მგონია, რომ ყველა თქვენთაგანმა იცის, რომ თეატრი არ არსებობს მაღალმხატვრული დრამატურგიის გარეშე და ვინ უნდა შექმნას ეს მაღალმხატვრული დრამატურგია თუ არა მწერლობამ?! არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ თეატრი დღეს უპირატესად მიტოვებულია მარტო იმათზე, ვინც თეატრში მუშაობს. თქვენ გახსოვთ ქართული საბჭოთა თეატრის პირველი წლები—ვერავითარი მარჯანიშვილი ვერ შექმნიდა მას, რომ კოტეს არ ყოფილა შემთხვეული არა მარტო მწერლობა, არამედ მთელი ქართული საზოგადოებრიობა. თეატრი არის უდიდესი სულიერი ფაქტორი ადამიანის ცხოვრებაში, მისი აღმზრდელი. მისი ოცნებისა და წუხილის გამოხატველი. და მე მინდა ერთხელ კიდევ მოვი-

წოდოთ ამ მაღალი ტრიბუნადან, რათა ყველი ჩვენთაგანი (თეატრის მუშაკი); და ყველი თქვენთაგანი (მწერალი) ხელიხელიაიკიდებული ვმუშაობდეთ ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებისა და აყვავებისათვის.

ილაპარაკა რა გაერთიანებული პლენუმის მნიშვნელობასა და თეატრის მუშაკებისა და მწერლობის ამოცანებზე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბესარიონ ჟღენტმა განაცხადა:—ჩვენი დღევანდელი პლენუმის მნიშვნელობა, ფრიად დიდია. იგი უნდა იყოს გადაწყვეტი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში. ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან აზრი იმის შესახებ ვითომც ჩვენი არსებობს რალაციო ბანაკი, ძალია და თაობათა დაპირისპირება, დაქსაქსვა, როგორც ეს ზოგიერთებს წარმოუდგენიათ. ქართული მწერლობა და ხელოვნება ერთი დღი ბანაკია და იგი ერთ დიდ საქმეს უნდა ემსახურებოდეს. ილაპარაკა რა თაობათა დაპირისპირების რეციდივების შესახებ, ამბ. ბ. ჟღენტმა განაცხადა: არ არსებობს თაობათა არავითარი დაყოფა, ეს ზოგიერთი ჭკუა მოკლეადამიანის მოგონილია. დღეს პარტიამ ჩვენ გარკვეული და ნათლად დაგვისხადა ამოცანა, რომ ასეთი დაპირისპირება, ასეთი მტრული დამოკიდებულება მიუღებელია. მიუღებელია აგრეთვე ყოველგვარი ქარბი გატაცება თანამედროვე მთელური უცხოური ხელოვნების ნიმუშებით. ხალხურობა და პარტიული პრინციპულობა ჩვენი უწმინდესი მოვალეობაა.

მწერალთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების გაერთიანებულ პლენუმზე წაკითხული მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კ. გამსახურდიამ, რ. ჯაფარიძემ, დ. შენგელიანმა, ემ. ფეიგინმა, გ. გვერდწითელმა, კ. ლორთქიფანიძემ, გ. ასათიანმა, გ. გოვიჩაიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც დაამეს ევტუშენკოსა და ვოხსენსკის მიგვართა უღირის მოქმედება და ერთსულოვნად მოიწონეს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებები, აგრეთვე სსრკ მწერალთა კავშირის, მე 4 პლენუმისა და საქართველოს კ.პ.კ. კომიტეტში იდეოლოგიური საკითხების შესახებ ჩატარებულ თათბირზე დასახული ღონისძიებები.

გაერთიანებული პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქ. კ.პ.კ. კ-ის მდივანმა ამბ. დ. სტურუაძე-



კომპოზიტორთა კავშირის გაერთიანებული კლავში

1963 წლის 14-15 მაისს, ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ერთობლივი პლენუმი. პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, სსრკ სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა ალ. მაჭავარიანმა;

ჩვენი ამკამინდელი პლენუმის მსჯელობის საგანი—აღნიშნა ანხ. მაჭავარიანმა—ვახლავთ დიდი ტრადიციების მქონე ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საქმიანობა. უდაოდ მისასალმებელია საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის ერთობლივი გადაწყვეტილება ამ თეატრის საქმიანობის შესწავლა-განხილვისა. როგორც პლენუმის მონაწილეთ მოესხენებოთ—დასძენს ანხ. ა. მაჭავარიანი—ჩვენი თეატრი მრავალი თვალსაჩინო ქმნილებათა ავტორია, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა საკავშირო და მსოფლიო ხელოვნების სარბიელზე საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ჩვენს თეატრში აღიზარდა ქართველი და მოძმე ხალხთა ვოკალისტებისა და ბალეტმეისტრების მთელი პლეადა, რომელთაც სამშობლოს საზღვრებს გარეთ გაიტანეს ქართული მუსიკალური და ქორეოგრაფიული კულტურა. ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ასეთი შესანიშნავი კოლექტივის მოღვაწეობის ორმა ანალიზი ინტერესმოკლებულია არ ექნება.

პლენუმზე მოხსენება წაიკითხა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მუსიკალური განყოფილების გამგემ, მუსიკალმცოდნემ ანხ. ანტონ წულუკიძემ. ბევრი მტკიცება არ არის საჭირო იმისათვის—აღნიშნა მან, თუ რამდენად დიდი ადგილი უკავია ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს, რომელიც დიდი ზო-

მიერებით უხამებს ერთიმეორეს მსოფლიო ინტერნაციონალურსა და ქართულ ნაციონალურ კულტურას. სტუმართმოყვარე ქართული საოპერო თეატრის სცენაზე ხშირი სტუმრება საყოველთაოდ აღიარებული მუსიკოსები, მომღერლები და დირიჟორები, რომლებიც გარკვეულ დადებით გავლენას ახდენენ ჩვენს მუსიკალურ კულტურაზე; მაგრამ ამავე დროს იხეწება და ვითარდება ჩვენი ნაციონალური თვითმყოფადი საშემსრულებლო კულტურა და ეროვნული საოპერო კლასიკა. თბილისის ოპერის თეატრი ყოველთვის საზრდოობდა მსოფლიო საოპერო ქმნილებათა ნიმუშებით და თვით ბადებდა ნაციონალურ შედეგებს, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ და თამაშობენ ქართველი ხალხის ესთეტიკური აღზრდის საქმეში. მაგრამ დიდ დამსახურებასთან და მიღწევებთან ერთად ჩვენს საოპერო ხელოვნებას აქვს თავისი მტკივნეული მხარეები და ჩვენ შევეცდებით ობიექტურად მივუღვეთ როგორც ერთს ისე მეორეს.

მოხსენებელმა პლენუმის ყურადღება, ძირითადად, საოპერო ხელოვნებაზე შეაჩერა. 1937 წლის დეკადაზე—თქვა მან—თეატრი უპირატესად ფალიაშვილის ოპერებით წარსდგა და მას შემდეგაც წლების მანძილზე თეატრს ფალიაშვილისა და დოლიძის ოპერები ასაზრდოვებდა. დღეს სიტუაცია შეიცვალა, ახლა გვაქვს მთელი რიგი ქართული ოპერებისა; თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“, ოთ. თაქთაქიშვილის „მინდია“ და შალვა მშველიძის „დიდოსტატის მარჯენა“. მიუხედავად ამისა, დასძენს მომხსენებელი, ქართული ოპერების დადგმის საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის, სახელობრ: დიდი ხარვეზები ვექონდა მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ აღდგენის საქმეში. ეს ოპერა, ჩვენდა სამწუხაროდ, იმ დონეზე არ დგას, როგორც დადგა წინათ იდგა. გარკვეული ხარვეზები მქონდა „მინდია“ დადგმასაც. საწყენიე რომ ეს სპექტაკლი, რომელსაც ხედა



უდიდესი წარმატება, დღეს კვლავ მოუწეს-
რიგებელ მდგომარეობაშია. საერთოდ გვემარ-
თებს ძლიერ დიდი დაკვირვება და მზრუნ-
ველობა საოპერო სექტაკლების დადგმისას.

შემდეგ მომხსენებელი ეგება ორ ძირითად მხარეს თეატრის საქმიანობაში—კოლექტივის მდგომარეობასა და მისი შევსების საქმეს. ჩვენი თეატრის უფროსი თაობა აღნიშნავს მომხსენებელი შემოქმედებითი მუშაობის პარალელურად ეწეოდა მეტად ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მათი აღზრდი-
ლები დღეს წარმოადგენენ წამყვან ძალას და თეატრის სახეს, ისინი წარმატებით მოღ-
ვაწეობენ დიდ თეატრში—საკმარისია თვა-
ლი გადავავლოთ ნიჭიერ მომღერლებს ზ. ანჯაფარიძის, მ. ამირანაშვილის, ნ. ან-
დლულაძის, კუჩუკოვას, თაქთაქიშვილის,
ლ. გოცირაძის, შ. კეკელიძის, ხორავასა და
ჯიქიას შემოქმედებით გზას.

მომხსენებელმა საქმაოდ ვრცლად განიხი-
ლა პ. ამირანაშვილის, ბ. კრავეიშვილის,
თ. მუშუკიანიის შემოქმედება. შემდეგ, ეგება
რა თეატრის ორკესტრის მუშაობას, აღნიშ-
ნავს, რომ ორკესტრის შესწევს ძალა ასწიოს
რთული ნაწარმოებებს, მაგრამ ისიც უნდა
აღვნიშნოთ, რომ ორკესტრის მუშაობაში
არის სერიოზული ნაკლოვანებანი. არის
ცალკეული შემთხვევები, როდესაც ორკეს-
ტრი ცუდად უკრავს, უწესრიგად, ადვილი
აქვს ინსტრუმენტების უადვილო წამოყვი-
რებას, რაც ხშირად სიტყვი იწვევს მაყუ-
რებელში. მომხსენებელი თუმცა მოკლედ,
მაგრამ საქმაოდ დეტალურად შეჩერდა თე-
ატრის გუნდის ახლანდელ მდგომარეობაზე
და აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს თეატრის
ხელმძღვანელობამ ვააძლიერა გუნდი, მაგრამ
გუნდის შემადგენლობა, მისი ელერაობა
ჯერ კიდევ ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს.
მართალია, თეატრს არ შეეძლია გუნდის
ისეთი რიცხობრივი ზრდა როგორც ორკეს-
ტრისა, მაგრამ არსებული კონტრავენტით
უდაოდ შეიძლება მდგომარეობის გამოსწო-
რება.

საქმაოდ ვრცლად შეჩერდა მომხსენებელი
თეატრში დირიჟორების მოღვაწეობაზე და
აღნიშნა, რომ თეატრს ყავს მაღალკვალიფი-
ციური მუსიკოსები, თუმცა დღეს ვერ ვხე-
დავთ იმ მთლიანობას და ელერაობას, რო-
გორსაც ხებდავდით მიქელაძის დროინდელ
თეატრში. თეატრის მთავარი დირიჟორი ამხ.

დომიტრიადი ერთიანად საყვარელთა
გორც ჩვენთვის, ისე მოსკოვის სახეობა
რიობისათვის, ამას მან მიაღწია მაღალი დირი-
ჟორული კულტურით, მაგრამ არ შეიძლება
არ აღვნიშნოთ, რომ მის მიერ შექმნილი ცალ-
კეული სექტაკლების ხარისხი, ბევრად არის
დამოკიდებული მის განწყობლებაზე. ჩვენდა
სამწუხაროდ, ზოგჯერ ორკესტრში არის
ისეთი უსუფთაობანი, რომელიც ასეთ მაღალ-
ნაჭიერ და ნამდვილ ხელოვანს არ ენატი-
ება. თეატრში მუშაობენ ისეთი ძლიერი
დირიჟორები, როგორებიც არიან დიდმ
მირცხულავა და ვახტანგ ფალიაშვილი. დი-
დემ მირცხულავა მიქელაძის მოწაფე გახლავთ
და მისწავლებელის საქმაოდ ბევრი თვისე-
ბების მატარებელია. მისი სექტაკლები ყო-
ველთვის გამოირჩევიან ელერაობით. მას
შეიძლება ვუსაყვედუროთ ის, რომ მომღერ-
ლის მელოდიის წარმართვისას ორკესტრს
ეკარგება ელერაობა („დაისი“, „თავიდი
იგორი“). — ნამდვილი პროფესიული დახვეწი-
ლობით გამოირჩევა ვახტანგ ფალიაშვილი,
იგი საქმაოდ ოპერატიული შემოქმედია,
რაც მის მოღვაწეობას მრავალფეროვანს
ხდის. უნდა აღვნიშნოთ ჯანსუღ კახიძე და
ახმაიფარაშვილი, რომლებმაც გამოიჩინეს
თავი საქმისადმი ფაქიზი დამოკიდებულებით
და ნაწარმოებთა სერიოზული და ნიჭიერი
შესრულებით. აქვე უნდა გამოითქვას რწმენა,
რომ თეატრის დირიჟორთა ნიჭიერი ჯგუფი
ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თე-
ატრმა გამოასწოროს ზემოაღნიშნული ხარ-
ვეზები.

მომხსენებელი პლენუმის ყურადღებას ამა-
ხეილებს რეჟისურის საკითხებზე. ჩვენს საო-
პერო თეატრში მოღვაწეობდნენ ქართული
რეჟისურის სიამაყენი კ. მარჯანიშვილი და
ს. ახმეტელი. თეატრის რეჟისურას ათეული
წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გამო-
ჩენილი რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა.
დღეს, საერთოდ რეჟისურისა და კერძოდ
ჩვენი თეატრის რეჟისურის წინაშე დგას
სოლიდა ახალი პოპოლემები, რომლებიც
თანამედროვე ხელოვნებას მოითხოვენ.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა რესპუბ-
ლიკის ერთ ერთი წამყვანი რეჟისორის, ნი-
ჭიერი ხელოვანის ე. ტაბლიაშვილის მოღვა-
წეობაზე, განსაკუთრებით გაამახვილა ყურა-
ხელება „ტრუბადურს“ ჩინებულ დადგმაზე.
მიუხედავად იმისა, რომ თეატრში შეიქმნა
რამდენიმე რეჟისორულად საინტერესო ნამუ-

შევიარი („ბოგემა“, „ალი“), ისინი დადგმის სახელითა და მრავალფეროვანებით მაინც არ გამოირჩევიან. ამ მხრივ საინტერესოა „მინდია“, მაგრამ სასურველ მიზანს ვერც ამან მიადგწია.

შემდეგ, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „დიდობატის მარჯვენისა“ და „მინდიას“ გამოწვევების შემდეგ ორი წელი გავიდა და ღირსშესანიშნავი არაფერი შექმნილა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში დაიდგა ლ. ფა-ლიაშვილის „იავნანა“ და მეღვინეთუხუცესის „დავით გურამიშვილი“.

ჩვენი ბალეტი, აღნიშნავს მომხსენებელი, ხწორხაზოვნად ვითარდება „გორდა“, „მშვიდობისათვის“, „ოტელი“, „დემონი“ ამის საუკეთესო დადასტურებაა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, იმას, რომ არ დადგება გარკვეული მომენტის ქართული ბალეტის კრიზისისა; ერთი მიმართულება, ერთი გზა აღუცილებლად მივიყვანს აქამდე, საჭიროა ახლის ძიება და ამ ძიებაში უნდა ჩავრთოთ მოწვეული ბალეტებისტრებიც. მითუმეტეს, რომ ბალანჩინის გასტროლებმა სულ სხვა გზები დასახეს საბალეტო ხელოვნებაში. საჭიროა კარგად გავიკვლით შინაარსობრიობისა და იდეურობის პრობლემებში.

დასასრულს მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა თეატრის რეპერტუარზე და აღნიშნა, რომ 30 წლის განმავლობაში ტრიალებს ერთი და იგივე — „რიგოლეტო“, „აიდა“, „ფაუსტი“, „ტოსკა“, „ბოქის ქალი“, „კარმენა“. ამ მრავალჯერ დადგმულ-გადადგმულ სპექტაკლებს თეატრი ვერ გასცილებია, საჭიროა თეატრი წავიდეს რეპერტუარის გაზრდის გზით, დაიდგას თუნდაც მოცარტის, ვაგნერის ოპერები. რეპერტუარის გაჩვენისას მთავარი ყურადღება უნდა თანამედროვეობისაკენ იყოს მიპყრობილი. ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენმა საოპერო თეატრმა ეს საკითხი დღესდღეობით ვერ ვადაწყვეტა.


თეატრის მართებს შექმნას ყველაზე უფრო რაციონალური ორგანიზაცია, რათა ვაკეთოს მთავარი, რომ არ დაიხარჯოს ენერჯია ზეორეზარისხოვან ამბებზე და გაბედულად გადავდგათ ნაბიჯი ჩვენი საოპერო ხელოვნების, მისა როლის ასამალღებლად, მისების უსთერტიკურად დაეთავსება აღსაზრდელად.

მომხსენებლის შემდეგ ვამართა კამათი.

კამათში გამოუსლმა მუსიკადმცოდნემ მირა ფიხნაძემ აღნიშნა, რომ ხშირად ჩვენს მიერ

მიღალი ტრიბუნებიდან წარმოთქმული მეტად საჭირო სურვილები გაუთვალისწინებელია და განუხორციელებელი რჩება, რაც აფერხებს ხებს ცხოველი პრობლემების განხორციელებას. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ მუსიკალური კომედის თეატრის დასახმარებლად, რომელიც ძლიერ მძიმე პრობლემაში მუშაობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყოველივე უცვლელი რჩება. შემდეგ ამხ. ფიხნაძე ლაპარაკობს საოპერო თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაზე, ეთანხმება მომხსენებელს თეატრში არსებული ნაკლოვანებების კრიტიკაში და გამოთქვამს სურვილს, რომ მოხდეს დასადგმელი ოპერების წინასწარი საჯარო მოსმენა; სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების მაგალითისამებრ ხდებოდას ოპერის საკონცერტო შესრულება, ეს პრაქტიკა უბირველეს ყოვლისა თვით თეატრის მდგომარეობას შეაშუსტებებს. შემდეგ ამხ. ფიხნაძე საყვედურობს თეატრის ხელმძღვანელობას ისეთი ოპერების დავიწყებას, როგორცაა: „დარეჯან ციბირი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ლატავრა“. თეატრს ბევრი რამ ესაჭიროება, ბევრზე თვითონაც უნდა იფიქროს, მისი მხატვრული დონის ამაღლება ჩვენი მუსიკალური კულტურის საერთო საქმეა.

თავის სიტყვაში თეატრმცოდნემ ე. გუგუშვილმა აღნიშნა, რომ ა. წულუკაძის შინაარსიან და ვრცელ მოხსენებაში რატომღაც ცოტა ითქვა ბალეტზე — მე მსურს ბალეტის მუშაობაზე შევიჩროთ თქვენი ყურადღება. ამხ. გუგუშვილი ლაპარაკობს ე. ჰაბუკიანის განუსაზღვრელ ღვაწლზე ქართული კლასიკური ნაციონალური ბალეტის განვითარების საქმეში და აღნიშნავს, რომ მის მიერ დადგმული ბალეტები — ბალანჩივადის „მთის გული“, კრინის „ლაურენსია“, ქართული ბალეტები „სინათლე“, „გორდა“, „მშვიდობისათვის“ და სხვა. ჩვენი საბალეტო ხელოვნების ოპერის ფონდში შევიდნენ. განსაკუთრებით, ბალეტი „მშვიდობისათვის“, რომელიც ითვლება საეტაპო სპექტაკლად საბჭოთა თემის გადაწყვეტის გზაზე. ჰაბუკიანმა სრულიებით ახლებურად გაიზიარა კლასიკური ბალეტი „გედების ტბა“ და ბოლოს შექმნილის „ოტელი“, რომელიც ითვლება ე. ჰაბუკიანის შემოქმედების გვირგვინად. შემდეგ ამხ. გუგუშვილი შეჩერდა ბალეტის ახალგაზრდა შეესებაზე და ვრცლად ვაარჩია თეორი ჰაბუ-



კიანის, ირინა ჯანდიერის, ახალგაზრდა ნადარეიშვილის და სხვათა შემოქმედებითი საქმიანობა, მათი მუშაობა. შემდეგ ამხ. გუგუშვილი ლაპარაკობს ბალეტში თემის გამოსახულების პრობლემებზე და აღნიშნავს, რომ ბალანჩინის გასტროლოგთან დაკავშირებით შეიქმნა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება. ჩვენ ვფასებთ ბალანჩინის და მისი დასასპროფესიონალურ შემოქმედებას, მაგრამ არ ვეთანხმებით მომხსენებელს ბალანჩინის შემოქმედების ქართულ სცენაზე მორგების საკითხში. ხელოვნებაში არსებობს სხვადასხვა გზები და არ არის სავალდებულო პირველისათვის იმის გაკეთება, რასაც აკეთებს მეორე. ჩვენმა საბჭოთა საბალეტო სკოლამ თავისი შემოქმედებით არა ერთგზის დამატკიცა მიმართულების სისწორე, რაც შეეხება პანტომიმის ბალეტში „ლოჟრენსია“, „რომეო და ჯულიეტა“ მავალითების სრულიად ამართლებენ მისი არსებობის საჭიროებას. ბოლოს, ამხ. გუგუშვილი შეჩერდა დაღმართა მრავალფეროვნების საკითხზე, თეატრში. სხვა ბალეტმეისტრების მოწვევის საკითხზე და გამოსთქვა სურვილი თეატრალურ ინსტიტუტში საბალეტმეისტრო ფაკულტეტის გახსნის შესახებ.

პროფ. პ. ხუჭუაძე თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ როდესაც ოპერის მუსიკალურ კულტურაზე მსჯელობენ, სათანადოდ იხილავენ— ლებრეტოსა და მუსიკის ურთიერთშეჯამებას, მხატვრობას, რეჟისურას, დირიჟორობას, ორკესტრს და სხვა კომპონენტებს. დღევანდელი პლენუმიც ამ გზით მიდისო. შემდეგ ამხ. ხუჭუაძე აღნიშნავს, რომ ქართული ოპერის მშენებლობის საქმე კარგად მიმდინარეობს, მაგრამ სავალალო მდგომარეობა გვაქვს უცხოური და რუსული საოპერო კლასიკის ხაზით. აქ ერთფეროვნება მიუტოვებელია. ამხ. ხუჭუაძე ეხება რეპერტუარის გადახალისების საქმეს. მას მიზანშეწონილად მიაჩნია ექსპერიმენტების ჩატარება, ხოლო ამისათვის სახსრების გამოყოფა. ამხ. ხუჭუაძე მისაღობება თეატრის ხელმძღვანელობას ახალგაზრდობის გაბედულად წამოწვევისათვის და მოითხოვს, რომ თეატრის იდენიტირაცია უფრო მეტად ზრუნავდეს კონსერვატორია დამთავრებული ახალგაზრდობის პროფესიონალურ სასლუყეთა-დაოსტატებაზე. შემდეგ ამხ. ხუჭუაძე აღნიშნა, რომ საჭიროა ორკესტრის მსახიობებს შეექმნას მუშაობის ნორმა-

ლური პირობები, რომ ისინი შეთავაზებით არ მუშაობდნენ. ამასთანავე აღნიშნავს ორკესტრი და შეიქმნას ახალი ინსტრუმენტები. დასასრულს ამხ. ხუჭუაძე მოითხოვს საბალეტო დასისათვის ქაბუციანის პარალელურად სხვა ბალეტმეისტრების მოწვევას.

თავის სიტყვაში კომპოზიტორმა ალ. შავერზაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პლენუმზე აღნიშნულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ჩვენი თეატრი უსათუოდ ზრდისა და წინსვლის პროცესშია. თეატრში ისეთი ძალიან თანამოყრდნობა, რომელსაც შეუძლიათ ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა. ამის წყალობით ჩვენი თეატრი კავშირის წამყვან თეატრების რიგებში დგას. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველთვის სწორად როდ ვიყენებთ ამ მდიდარ შესაძლებლობებს. ბევრ თეატრს, თუნდაც ხარკოვის, სვერდლოვსკის, ნიკოისბირსკის საოპერო თეატრებს ბევრად ნაკლები შესაძლებლობანი გააჩნია, მაგრამ საქმეს კი ჩვენზე მეტს აკეთებენ. ალბათ იქ არ არის ისეთი ძალა, რომელიც რაციონალურად იყენებს ყოველგვარ შესაძლებლობას. საჭიროა მეტი კრიტიკულობით მივედგეთ ჩვენს მოღვაწეობას. ამხ. შავერზაშვილი ანალიზს უკეთებს რა ორკესტრის საქმიანობას, ხაზს უსვამს მის მძიმე მდგომარეობას; რომ არა თუ ორკესტრის მოსათავსებელი ადგილი არა გვაქვს, არამედ ვინც ვუყავს, იმათაც ცუდად ვიყენებთო. ამხ. შავერზაშვილი პლენუმის ყურადღებას ამახვილებს კადრების აღზრდაზე და აღნიშნავს, რომ თუ რესპუბლიკაში საორკესტრო კადრების მოზადების მხრივ ასეთი მდგომარეობა კვლავ ვაგრძელებთ არამც თუ ვაზრდილ, არამედ არსებულ შტატებსაც ვერ დავაკომპლექტებთ.

ამხ. შავერზაშვილმა თავის სიტყვის დასასრულს ყურადღება გაამახვილა გუნდზე და აღნიშნა, რომ თუ ორკესტრს აქვს ნაკლოვანებანი, უფრო მეტი ნაკლოვანებანი გუნდის საქმიანობაში. უკანასკნელ წლებში არ მახსოვს, არცერთი დადგმა, რომ გუნდი ბრწყინავდესო. გუნდთან ნამდვილი მუშაობა არ სწავრობებს, ეს იმის შედეგია, რომ თეატრს არ ყავს ნამდვილი ხორმესტერი, ამაზე უნდა იფიქრონ თეატრის ხელმძღვანელობამ და კულტურის სამინისტრომ,

ოპერის თეატრის დირექტორმა ამხ. დ. მკვლდიძემ აღნიშნა, რომ გაერთიანებული პლენუმი ღირსშესანიშნავი მოვლენა, ჩვენი თეატრის ცხოვრებაში და სასიხარულოა, რომ



პლენუმმა ოპერის თეატრის ნაციონალური კულტურის განვითარების გზაზე შედგომა აღიარა. შემდეგ ამხ. მკვლელიძე ლაპარაკობს თეატრის გენერალურ ხაზზე, პერსპექტიულ გეგმებზე—ლაპარაკობს თეატრის კოლექტივის ნაციონალურ კადრების შევსებაზე და სარეპერტუარო პოლიტიკაზე. ამხ. მკვლელიძე შეჩერდა ქართული ბალეტის სწორ მიმართულებაზე და გაამახვილა ყურადღება ბალეტმეისტერთა მოწვევის აუცილებლობაზე.


ოპერის თეატრის დირექტორმა ვაამახვილა ყურადღება ორკესტრის მუშაობაზეც და აღნიშნა, რომ ორკესტრანტების გადატვირთვის შედეგად ორკესტრი არ ფერხს სათანადოდ და ამასთანავე დააყენა საკითხი სიმებიანი ორკესტრის გაძლიერების შესახებ კონსერვატორიის კურსდამთავრებულთა ხარჯზე. დასასრულს ამხ. მკვლელიძე აღნიშნავს, რომ გუნდში ბევრი რამ შეიცვალა, მას რომ თვალი გადაავლოთ მოგეწონებათ თვალითაც და ხმითაც, მაგრამ მათ შემდგომი ესაჭიროებათ, ეს კი დროს მოითხოვს. დასასრულს ოპერის დირექტორმა გამოთქვა, რწმენა რომ პლენუმის გადაწყვეტილების შედეგად თეატრი ყველაფერს გააკეთებს თავისი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

თეატრის მთავარმა დირექტორმა სსრკ სახალხო არტ. ამხ. ო. დიმიტრიადიძე, მოიგონა თუ როგორ კომპლექტიდებოდა ევგენი მიქელაძის შემდეგ თითქმის დასული ორკესტრი და რა სიმაღლეს მიაღწია მან შიგრი დეკადანზე. თუმცა,—დასძენს დიმიტრიადი,—დეკადის შემდეგ დღემდე იგრძნობა ერთგვარი მოღუნება, მაგრამ მაინც არ შეიძლება გავიზიაროთ ზოგიერთების აზრი იმის შესახებ ვითომც თეატრში ორკესტრი არ არსებობს—ეს არ არის სწორი, ორკესტრმა თავისი ძალა იხლნა წარსულში აჩვენა მეტად მომთხოვნ ლენინგრადად მეგობრებს. ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ორკესტრანტების დატვირთვიდან და ჩვენ ვიცდებით ეს გამოვასწოროთ. რაც შეეხება გუნდს, მე ფიქრობ, რომ გუნდში უფრო ცუდად გვაქვს საქმე—ორკესტრში თუ უმაღლესი მუსიკალური განათლებით მოდიან, გუნდში ზოგიერთებს სპეციალური მუსიკალური განათლებაც კი არ აქვთ, ამისათვის მათთან მუშაობა, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია. თბილისში საკუნდო კულტურა არ გვაქვს, საჭიროა ამისათვის ზრუნვა. რაც

შეეხება სოლისტებს, ამ მხრივ ჩვენ მდგომარეობა ვაკილებთ უკეთესი გვაქვს, ვიდრე ახლ. დიმიტრიადი ანაოლის უკრავს უკრავს კენელ წლებში დადგმულ ოპერებს და აღნიშნავს რეპერტუარის არადაამაყოფილებელ მდგომარეობას.

სიტყვა ეძლევა თეატრალური სახ. ბის პრეზიდენტის წევრს, თეატრალურ ინსტიტუტის დირექტორს ი. თავაძეს, რომელიც იწონებს რა თეატრის ხაზს რეპერტუარის შერჩევის საკითხში, ეხება თეატრისა და კომპოზიტორთა კავშირის როლს თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაში და აღნიშნავს, რომ კომპოზიტორთა კავშირი ძალიან აქტიურად უნდა ეხმარებოდეს კომპოზიტორებს ანა მართო სათაბურო ნაწარმოებების შექმნაში, არამედ მათ დაღვავშიც. შემდეგ ამხ. თავაძე ეხება ლიბრეტისტებს და აღნიშნავს, რომ საჭიროა ლიბრეტოს ისეთივე განხილვის რეპერტად იქცეს, როგორც მუსიკა. ამხ. თავაძე ამახვილებს პლენუმის მონაწილეთა ყურადღებას კრიტიკის საჭიროებაზე. რომ საჭიროა გახედულად ვილაპარაკოთ ჩვენს ნაკლებზე და იდეალებზე, ეს კი გაშთულ ამხანაგებში არ იგრძნობოდა. ჩვენ ვცდილობთ ყოველგვარ ჩვენს ნაკლს ახსნა-განმარტება მივცეთ, მაყურებელი კი თეატრში ახსნა-განმარტებისათვის არ მოდის. აქ ლაპარაკი იყო ორკესტრანტების გადატვირთვაზე — მაყურებელს მათ პირობები არ აინტერესებს. მას შეწყობილი შელოდური ორკესტრის მოსმენა სურს. საჭიროა მათთან ინდივიდუალური მუშაობა. ასეთივე მდგომარეობაა გუნდშიც.—დასძენს ამხ. თავაძე—საჭიროა გუნდმა რადიკალურად გამოასწოროს თავისი მდგომარეობა, საჭიროა სოლისტებმა მოუზიარონ თავიანთ თავს და მეტი ივარჯიშონ. სიტყვის დასასრულს ამხ. თავაძე ეხება მუსიკათმცოდნეთა რეკენზიებს და მოუწოდებს, რომ ისინი სწორედნე მასებისათვის და არა მხოლოდ კომპოზიტორებისათვის.

სიტყვებში გამოვიდნენ აგრეთვე კომპოზიტორი ა. ტუსკია, დირექტორი გ. აზმაიფარაშელი, მსახიობები—მუშანია, ბუცხრაიძე. პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ა. მაჭავარიანმა. საბოლოო სიტყვა წარმოთქვა მომხსენებელმა ან. წულუკიძემ. პლენუმმა მიიღო შესატყვისი დადგენილება.



საქართველოს თეატრალური საზოგადოებრივი, საქართველოს მხატვართა კავშირისა და საქართველოს სამხატვრო ფონდის ინიციატივით, 31 მარტს საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში გაიხსნა საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის, პეტრე ოცხელის თეატრის შესანიშნავი მხატვრის პეტრე ოცხელის ნაწარმოებების გამოფენა. გამოფენის საზეიმო გახსნისას, აგრეთვე გამოფენის დახურვის დროს გამართულ განხილვაში მონაწილეობა მიიღო მრავალმა მოღვაწემ, — თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე, მხატვარმა, რეჟისორმა და მსახიობმა. მათ გამოთქვეს საყურადღებო აზრები და მაღალი შეფასება მისცეს პეტრე ოცხელის შემოქმედებას.

მოგუსმინეთ მათ.

პეტრე ოცხელი, როგორც თეატრალური მხატვარ - დეკორატორი არის ერთ-ერთი მწყინგაღვი შემოქმედი. მე ბედნიერება მხვდა წილად, შემუშავა მისთან ერთად სპექტაკლზე „მუნჯები ალაპარაკდნენ“. იმდროისათვის უკვე აღიარებული დიდად ნიჭიერი თეატრალური მხატვარი ცხოვრებაში იყო შეტად მოკრძალებული, თავმდაბალი, სადა, ამავე დროს, სასტიკი მომთხონი, როგორც თავის შემოქმედების მიმართ, ასევე სხვის მიმართაც. იწყებდა რა კოსტუმებზე მუშაობას, რომელიც მას განსაკუთრებით უყვარდა, უკვირდებოდა თითოეულ მსახიობს, სწავლობდა მის ბუნებას, ფეხიყვით მონაცემებს და ამის მიხედვით შეიწყვდა ამა თუ იმ ტიპს, მისი სახით ჩვენ უდავოდ დიდ შემოქმედთან გვქონდა საქმე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიზანია გააცნოს საბჭოთა თეატრალურ საზოგადოებრიობას, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, აგრეთვე მოსკოვსა, კიევისა და ლენინგრადში განსაკუთრებით, კი ჩვენს ნიჭიერ და მზარდ ახალგაზრდობასამ დიდი შემოქმედის ნაწარმოებები. ახლო მომავალში ვფიქრობთ გამოიცეს ალბომი „პეტრე ოცხელი“. რომელიც დაავიარგვინებს ამ შესანიშნავ ლონისძიებას.

საქ. სახალხო არტისტი დოღო ანთაძე

ქართველი საზოგადოებრიობისაგან მაღლობა ექთმის საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას, მხატვართა კავშირს და სამხატვრო ფონდს, რომელთაც პეტრე ოცხელის გამოფენით ჩვენს წინაშე გააცხადეს ერთ-ერთი უნიჭიერესი საბჭოთა თეატრალური მხატვარი. პეტრე ოცხელს გააჩნია მისი წლოვნებისათვის სრულიად საარაკო უნარი პიესის დედაზრის გაგებისა, ავტორის სტილური თავისებურების შეცნობისა, ხასიათების ნივთიერი გარემოს, მათი მასაქმლისა და მოძრაობის წარმოსახვისა. მას გააჩნია არაჩვეულებრივი ხელება, მხატვრული განზოგადება, ეპოქათა სტილურ არსში წვდომა. პეტრე ოცხელი იყო კ. მარჯანიშვილის საყვარელი მხატვარი, და მართლაც მისი ესკიზები ხომ დღესასწაულია, ისევე როგორც კ. მარჯანიშვილის ხელოვნება იყო და არის თეატრ - დღესასწაული. პეტრე ოცხელი თეატრ-დღესასწაულისათვის დამახასიათებელი ნათელი გრძნობებით მოსაეს მსახიობს, დეკორატიულ გარემოც საზეიმოდ ლაქონიური და სიხარულის გამოსახველია.

პეტრე ოცხელი მსახიობს იმნიარად მოსაგდა, რომ უდავოდებდა ამაღლებულად გამოეხატა გმირის სულიერი ცხოვრება. როდესაც მოსკოვიდან თბილისში კოტე მარჯანიშვილის ფერფლი ჩამოსვენეს პეტრე ოცხელმა საოცარი მხატვრული ძალით დიტირა თავისი დიდი მასწავლებელი. ვის დაავიწყდება ის დეკორატიული გარემო, რომელმაც მან შეუქმნა კოტეს ფერფლს, როგორ შემოსა დარბაზი დაკრძალვის დროს. ეს იყო დიდი ნეკროლოგი, რომელიც მხატვარმა დაუწერა კოტე მარჯანიშვილს.

პეტრე ოცხელი სრულიად ახალგაზრდა მოსწყდა ქართულ საბჭოთა ხელოვნებას, მაგრამ ჩვენს ხილვის საამაყოდ და სისახელოდ, საბჭოთა თეატრის სასიქადულოდ დაგვჩა მისი მხატვრობა, რაც ქართული სასცენო ხელოვნების ისტორიის ოქროს ფურცელს წარმოადგენს.

ხელოვნ. დამახ. მოღვაწე დ. ჯანელიძე



* * *

პეტრე ოცხელს, როგორც დიდ შემოქმედს გააჩნია თავისი გარკვეული სახე, გარკვეული კრედიტი. ეს დიდი მიღწევაა, რომელიც მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დიმიკვირა თავის შემოქმედების გზაზე.

პეტრე ოცხელისათვის დიდი და სერიოზული მოვლენა იყო ფერის პრობლემა, თავისი ლაკონიურობით, თავისი სიფხიზლით, ფერის პრობლემას მის შემოქმედებაში უდიდესი მნიშვნელობა და მხატვრული გამართლება ჰქონდა. „ურიელ აკოსტა“ ამის საუკეთესო მაგალითად გამოგვადგება.

პეტრე ოცხელი არ იყო განყენებული მხატვარი, ის ცოცხალი მხატვარი რეისორი, რომელსაც მხატვრული შთანაფიქრი და მისი გადაწყვეტა მთლიანობაში ჰქონდა წარმოდგენილი. ეს კი ლაპარაკობს საოცარ ნიქსა და ტლანტზე, რომელიც იმეფათა 20—21 წლის ასაკის ჰაბუკისათვის. პეტრე ოცხელს დიდი პოეტურ-ეპიკური ნიჭი გააჩნდა და რომ დასცლოდა იგი ჩვენს თეატრს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანდა.

ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე კ. კუკულაძე

* * *

გადაათვალიერებ რა პეტრე ოცხელის ნაწარმოებებს, ვფიქრობ, რომ იგი კვლავ ცოცხალია ისე თანამედროვეა მისი ესკიზები.

პეტრე ოცხელი თავის შემოქმედების გზაზე აზრს ეძიებდა, აზრს ხედავდა და შეუცდომლად პოულობდა მის მიწვევს პოსტამენტს. მისი ნამუშევრებიდან განსაკუთრებით მზიბლავს „ურიელ აკოსტა“, რომელიც ჩვენი ოქროს ფონდია, და დღესაც სანთელივით გვიანათებს. როდესაც ვაგვიჭირდება ხოლმე მას გადავხედავთ, იმდენად ეთანჯდებიან მისი შემოქმედება დღევანდელ დღეს.

ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე ვ. ტაბლიაშვილი

* * *

ჩემში განცდიფრება გამოიწვია, იმან, თუ როგორ შეეძლო მას ასე მოკლე დროში გეოკეთება ასე ბევრი. როდესაც უყურებ პეტრე ოცხელის ესკიზებს, რწმუნდები, რომ იგი თავის შემოქმედების გზაზე არა მარტო ძიებაში იყო, არამედ პოულობდა კიდევ. მისი

ნიჭი იმდენად დამაჯერებელია, რამდენადაც იმ ნაშე აუცილებელია თავის მოხრეხილობით

მე ვიცი, რომ მხატვარი გარდაიცვალა 1936 წელს, მიგრამ როდესაც დადინარ დარბაზში, მგონია რომ მან ეს გააკეთა 1940 წელს, 1950 წელს... 1960 წელს, ყოველივე ეს იმდენად საინტერესოა, რომ გიმყრობს სურვილი მეტი იცოდე იმაზე თუ როგორ გაიზარდა მხატვარი, ან როგორი იქნებოდა იგი დღეს.

უქრანინს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელი ნ. ტრაიასკინი

* * *

დიდი მადლობის გრძნობით ვათვალიერებთ რა დღეს თეატრალური მხატვრის პეტრე ოცხელის ნამუშევრების გამოფენას, სიხარულსა და მძიმე გრძნობით იცებთ ადამიანი. მძიმე გრძნობით იმეტომ, რომ, თუ მას შეეძლო 29 წლის ასაკში ასეთი დიდი შემოქმედი ყოფილიყო, რა იქნებოდა იგი დღეს? მე არასოდეს არ მიფიქრია იმაზე, თუ რამდენი წლისა იყო ოცხელი, როცა მან „ურიელ აკოსტა“ გააფორმა. პირდაპირ დაუჯერებელია, რომ იგი მხოლოდ 20 წლის იყო. ეს იყო „ფუნდერკინდი“ ხელოვნებაში. „ურიელ აკოსტა“ ხომ არ არის ნიჭიერი ახალგაზრდის ნამუშევარი, რომლისგანაც მომავალში დიდ ხელოვანს მივიღებთ.—ურიელ აკოსტა უკვე მოაზროვნე მხატვრის ნამუშევარია.

ფიქრობთ რა ყოველივე იმაზე ვდუმდებით, მაგრამ არ უნდა დავდუმდეთ; ის ცოცხალია, იგი დღევანდელი მხატვარია, რომელიც დღესაც იწვის და ბევრი რამის თქმა შეუძლია. ქართული ხელოვნების ინსტიტუტს შემუშავებული აქვს თემა „პეტრე ოცხელი“, ეს იქნება ჩვენი წვლილი ქართული თეატრალური მხატვრობის შესწავლის საქმეში.

ხელოვნებადმცოდნეობის დოქტორი

ვ. ბერძე

* * *

დავათვალიერებთ მხატვარ პეტრე ოცხელის შესანიშნავი ნიმუშები და ჩვენს წინაშე გაცოცხლდა ეს პირმცინარე ჰაბუკი, ის საინტერესო წლები, როდესაც კოტე მარჯანიშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა ნი-



ქიერი ახალგაზრდობა, მათ შორის თეატრის სიამაყე პეტრე ოცხელი. რა სასიამოვნოა, რომ ერთხელ კიდევ განვიცადეთ საოცრება ხელოვნებისა, შემოქმედებითი გამოყოფლება გამოწვეული ასეთი უჩვეულო ჯადოქრული მხატვრობით. მე პირადად არ შემიძლია კმაყოფილებით არ აღვნიშნო, რომ ერთხელ კიდევ განვიცადე სიხარული დიდ მხატვართან შეხვედრისა.

ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე ს. ჭელიძე

* * *

პეტრე ოცხელი, ქართული საბჭოთა თეატრის, მარჯანიშვილის თეატრის მხატვარი სიმბოლოა. პეტრე ოცხელის მხატვრული პროდუქციის ნიმუშები მის უღაოდ დიდ ტალანტზე პეტრე ოცხელის და ეს ნიჭი მსოფლიო დეკორატიულ ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ადვილს დაიკავებს.

თუ სადმე გაისხნებენ კოტე მარჯანიშვილის სახელს, გაისხნებენ პეტრე ოცხელსაც, როგორც მის მარჯვენა ხელს და შთაბეჭონეჩელს. ვისაც ახსოვს მისი გაფორმებული სექტაკლები, არ შეიძლება ჭრუხტელმა არ დაუაროს ტანში, იმდენად დიდი, იმდენად შთაბეჭონეჩელი და ძლიერი იყო ეს სექტაკლები, როგორც თავისი დადგმით, ისე მხატვრული გაფორმებით. იმდენად კარგად იყვნენ შეწყობილი რეისორი, მხატვარი და მსახიობები, რომ მაყურებელს წარუშლელი შთაბეჭდილება რჩებოდა. ასეთი იყო „ურთელ აკოსტა“, „ვერაგობა და სიყვარული“ და სხვა; ამ სექტაკლებს ყოველთვის ისე უყურებ, თითქოს ახალი დადგმები იყოს. პეტრე ოცხელი 9 წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა თეატრს და თავისი დიდი ტალანტით, თავისი ნიჭით მის მხატვრობას შეაღია.

რესპ. სახალხო მხატვარი კ. სანაძე

* * *

არიან ადამიანები, რომელთა შესახებაც არ შეიძლება არ ილაპარაკო. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის პეტრე ოცხელი. აი, ახლა პეტრე ოცხელის შესანიშნავ დეკორატიულ მხატვრობას რომ უყურებ, გახსენდება ქაბუჯი, სრულად უბრალოდ, სადად ჩაცმული და ვიკვრის ამ პატარა, ტამორჩილ კაცში რაიმდენი ნიჭი, რა ტალანტი და ფანტაზია ყოფილა. ეს სიკაცობიანი სავსე ახალგაზრდა ყველას განუზომლად უყვარდა. ის იყო ჩვენი მეგობარი, წამოწვევები ყველა სახალხო საქმეებისა, ადამიანი, რომელსაც უხაროდა სიკაცობა და როდესაც იგი მიმე ავადმყოფობამ შეიპყრო, მაშინაც კი, თბილად ძლივს დადიოდა, სიკაცობის წყურვილი და ცხოვრების ინტერესი არ ჩაქრობია. რა უცნაური ბედი ჰქონია ამ ვაჟს, იგი

რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო, ვისევე შექმნილიყო მოქმედება არაერთი გენიალური მხატვრული ნაწარმოებით გამდიდრდებოდა. უნდა აღვნიშნავდეთ ვთქმის პეტრე ოცხელის და, ნინო ოცხელს, რომელმაც აღადგინა, ფართო საზოგადოებრიობის წინაშე გააცოცხლა ეს უნიჭიერესი მხატვარი.

სსრკ სახალხო არტისტი

ვერაკო ანჯაფაზაძე

* * *

არიან ადამიანები, რომლებიც იღუპებიან, მაგრამ არ კვდებიან.

ასეთია პეტრე ოცხელიც, კაცი რომელმაც სიჭაბუკეში დალია სული, მაგრამ მოხუცებულობაშიც სუნთქავს; გარდაიცვალა, მაგრამ მანაც ცოცხლობს.

პეტრე ოცხელი ბედნიერი იმით, რომ შემოქმედებიდან წასული მინიცი ხელოვნებაში დარჩა. იგი წარსულმა შობა, მაგრამ აწმყო კვებასც ამის თავდებობა ჩვენი დღევანდელი თავშეყრა, — სანახევროდ სამელოდიათა, სანახევროდ სახეიმო, ამის დასტურია უთქმელი მხატვრის ეს მუტყველი ტილოები.

იქნებ ზოგმა თქვას, — პეტრემ როგორც მხატვარმა, ცხოვრების დასაწყისშივე აიცილინა მიმდევრული გზა. შესაძლოა მას არ დასჭირებია საუკეთესო შემოქმედების აღმართის ავლა, რადგან იგი უმად მწვერვალს მოიქცა, მაგრამ იქიდან უფრო მაკეთილ მოჩანდა საშვიში დაღმართი. მან იმ მწვერვალზე იგემა შემოქმედებითი ბედნიერების მაღლებულობა და სწორედ ამანვე მიაახლოვა იგი უფსკრულის პირამიდს.

ეს ცდუნება იმაში იყო, რომ პეტრე ოცხელი კოტე მარჯანიშვილის უახლეს მოწვევად რჩებოდა და სანდრო ამბეტელთან თანამშრომლობისათვის ემზადებოდა. ორი დიდი ოსტატის მოწვევით თვით იქცა ოსტატად, მაგრამ ქართული თეატრის სიმბრძნის მიჯნის გადალახულმა მსოფლიო თეატრის კარწინ ჩაიჩოქა.

პეტრე დეკორატიული მანერა, როცა მას ერთნაირად სჯაროდა კოტესი და სანდროსი. იყო დრო, როცა ამ ორი დიდი რეისორის შერთება ხელს არ აძლევდა ქართული თეატრის ზოგიერთ ხიზანს. მაგრამ მარჯანიშვილისა და ამბეტელის შემოქმედებითი დამოუკიდებლობა ბევრმა იმდროინდელმა და ამდროინდელმა მოღვაწემ საჭიბით სცადა, და მათ შორის პეტრეც იყო. მან თავისი ლოკალური, ფერადოვანი ფუნჯი სანდროსაც გაუწოდა და არც კოტეს მოაკლდა. ეს გამოდგენა ამაზე მეტყველებს.

პეტრე ოცხელი კოტე მარჯანიშვილის მარჯვენა ხელი იყო, მაგრამ რომ დასცლოდა სანდრო ამბეტელის მარჯვენადაც იქცეოდა. პეტრე ისეთი წინადა სიმბოლოა, საიდანაც ხელოსუფივით მოჩანს ქართული თეატრის წარსული, აწმყო და მომავალი.

ესურნალისტი თ. ევაძე



* * *

* * *

მასხვს, საქართველოში ტარდებოდა ამიერკავკასიის შემოქმედებითი ოლიმპიადი, რომლის ხელმძღვანელობა დაეწავლა უნიჭიერეს რეჟისორს, სანდრო ახმეტელს მან მოიწვია მხატვრები და პეტრე ოცხელს ოპერის თეატრის გაფორმება ხელა წილად. ამ გაფორმებით — ოცხელმა დიდი სენსაცია მოახდინა. წარმოდგენილი იყო მრავალი მხატვრის ესკიზი. კ. მარჯანიშვილმა და ლ. ს. ახმეტელმა ამ ესკიზებიდან პეტრე ოცხელის ესკიზები ამოარჩიეს, როცა მთლიანად დაათვალიერეს დარბაზი, კ. მარჯანიშვილი მიუბრუნდა ახმეტელს და უთხრა, — „აბა, ახმეტელო, რას იტყვი ხელად რა ბრწყინვალე მხატვარია“. პეტრე ოცხელის მთავარი დამსახურება იმაშია, რომ მან თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა და ქართული დეკორატიული ხელოვნება გაამდიდრა თავისი უჩვეულო ნიჭითა და ორიენალობით. მისი დეკორაცია შერწყმულია ტიპათან, ის იყო ნამდვილი შემოქმედია ტალანტი, გასაოცარი გემოვნების ადაშიანი, მისი ნამუშევრები, განსაკუთრებით გრაფიკულ ნაწარმოებში, პირდაპირ შედევრია, მაგალითის მიმცემი ნიმუში ჩვენი ახალგაზრდაობისთვის.

ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე დ. თაგაძე

* * *

საქართველოს ასეთი მხატვარ-დეკორატორი არ ჰყოლია. იგი იყო დიდი ფანტაზიის, დიდი ერუდიციის მქონე, კ. მარჯანიშვილის უსაყვარლესი ადამიანი. ყველას გვიკვირდა როდის მუშაობდა, რადგან ყოველთვის თეატრში იყო. ეს იყო რაღაც უზარბუღო ტალანტის და ნიჭიერების შემოქმედი. უღრმესი მაღლობა იმ ამხანაგებს, ვინც ეს საქმე ითავებს და პეტრე ოცხელის გასაოცარი ნიჭი საზოგადოებისათვის მისაწვდომი გახადეს. დიდი მადლობელი ვიქნებით, თუ პეტრე ოცხელს გაეცნობა მოსკოვის, კიევის საზოგადოებრიობა და მისი გამოფენა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის არამედ სამჭოთა კავშირის ფარგლებსაც გასცდება. ქართული თეატრალური კულტურისათვის დაიხაც საამაყო ასეთი მხატვრის ყველასათვის გაეცნობა.

რეს. სახალხო მხატვარი ელ. ახვლედიანი

პეტრე ოცხელი დიდი მოვლენაა ქართული მხატვრობაში. მართალია, დღეს მისი ავტორი აღარ არის, დაღუპულია, მაგრამ მისი მხატვრული პროდუქცია ცოცხლობს და აღდგენილია. უყურებ მის მხატვრობას და რწმუნდები თუ როგორი ნიჭიერი შემოქმედი ჰყოლია ჩვენს ქართულ თეატრს. ჩვენ გვყავს დიდი და გამოჩენილი მხატვრები, ისეთი მიგალითად, როგორიცაა სოლ. ვირსალაძე, ახვლედიანი, ირ. ვამრეკელი, და სხვები, მაგრამ თეატრალურ ხელოვნებაში ახალი სიტყვის შემოტანა, პირველობა პეტრე ოცხელს ეკუთვნის. ის მართლაც ვირტუოზი იყო, ყოველი მისი ესკიზი ცალკე სურათია. იმდენად მაღალი, მხატვრული ინდივიდუალობით არის იგი აგებული, იმდენად რეალური და შთამაგონებელია. ეს კი დიდი თვისებაა მხატვრისა. პეტრე ოცხელს ჰქონდა სხვანაირი მიდგომა ხელოვნებისადმი, უფრო ამაღლევებელი, თანაც მკაფიო, გულში ჩამწვდომი და შეჩაქსოვილი. ეს კი არის დიდი ნიჭის გამოხატულება. პეტრე ოცხელის მხატვრობის პოპულარიზაცია უნდა მოხდეს წიგნის სახით, ასეთი წიგნი აუცილებლად უნდა დაიწეროს, ვინაიდან ეს წიგნი, თუ ალბომი მთელს რევოლუციას მოახდენს თეატრალური ხელოვნების ისტორიაში.

რეს. სახალხო მხატვარი

დავით გუდიაშვილი

* * *

პეტრე ოცხელის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ბევრი ითქვა, მე მინდა რამდენიმე სიტყვა მოვახსენოთ მის შესახებ, თუ როგორ მიიღო იგი მოსკოვის თეატრალურმა სამყარომ. 1931 წელს. მოსკოვში, ყოფილ კორნის თეატრში „შენიგებელი სოლნენის“ გაფორმა პეტრე ოცხელმა. პეტრე მაშინ 24 წლისა იყო და ამიტომ, რომ ძალიან შეინელებოდა მისი აღიარება, რომ ამ სპექტაკლის პეტრესეული მხატვრული გაფორმება კოტეს დადგმის კონგენიალური იყო. ეს კი ნამდვილია და ასე იყო და უნდა ვთქვათ, სპექტაკლის მიღების დროს არ დარჩენილა არც ერთი ორატორი, რომ არ აღენიშნა ოცხელის მხატვრობის განსაკუთრებული ადგილი სპექტაკლში, როგორც ჩანაფიქრის თვალსაზრისით, ისე დე-



კორაციისა და კოსტუმების ახლებური გადაწყვეტის მხრივ. აი, რა თქვა მაშინ ა. ვ. ლუნაჩარსკიმ:

„Художник Ошхели вполне понимает задачу постановщика, я уже не говорю, что он не мыслит павильонами, но и не следует современной моде конструктивизма. Спектакль разрешен по принципу скульптурности, и как всякая первоклассная скульптура, прекрасна и прост!

კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ პეტრე ოცხელს მოსკოვის თეატრები ერთი მეორეს ხელიდან სტაკებდნენ. ამის გამო პეტრე ისე იყო დატვირთული, რომ თეატრში „აბესლომის და ეფერის“ გაფორმებაზე უარის თქმა მოუხდა. პირველი დადგმა მცირე თეატრში ვუსევის „დიდება“ იყო. ამ სპექტაკლის რეცენზენტები ლაპარაკს ყოველთვის მხატვრულ გაფორმებიდან იწყებდნენ. ერთ-ერთს მოგახსენებთ: გაზეთი „Советское искусство“ წერდა: „Красные полотнища, четырех огромных на всю высоту сцены стягов, образуют торжественный занавес. Легкий, воздушный, выполненный на тюле декорации художника Ошхели, дающие на фоне то Московского пейзажа, то суровой природы Кавказа—только контуры сценической обстановки, призваны подчеркивать общность характеров пьесы и снять со спектакля налет какой-бы то ни было будничности.“

მცირე თეატრში „გერაგობა და სიყვარულის“ გაფორმებამაც დიდი წარმატება მოუტანა ოცხელს. მთელი თეატრალური მოსკო-

ვი ამ სპექტაკლის დეკორაციების და განსაკუთრებით კოსტუმების შესახებ ლაპარაკობდა. მას შემდეგ 28 წელმა განვლო, მაგრამ მცირე თეატრში ახსოვთ და აღტაცებით იხსენიებენ პეტრეს როგორც მხატვარსა და აღამიანს. პეტრეს ყველა ანტიბიერება: მსახიობები, ტექნიკური საამქროების მომუშავენი, დირექცია. ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ შესანიშნავ ყმაწვილს ეფერებოდნენ, როგორც ჭაბუქს, ხოლო როცა საქმიან ვითარებაში ხვდებოდნენ ავიწყდებოდათ მისი ასაკი, უსიტყვოდ იღებდნენ ყველაფერს, რაც არ უნდა მოეტანა. საგულისხმოა, რომ რეჟისორი ხელოვნების ესოდენ თანამიმდევარმა თეატრმა, როგორიც მცირე თეატრია, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიიღო პეტრე ოცხელის მიერ ეტიუდების სახით გაკეთებული დეკორაციები. ეს მართლაც ნოვატორული იყო. იმ დროს გამოჩენილმა მხატვარმა დიმიტრიევმა ოცხელის ნებართვით გამოიყენა ეს სახლე დიდი თეატრში „ევგენი ონეგინის“ დადგმის დროს.

დიდად აფასებდა ახალგაზრდა მხატვარს კ. ს. სტანისლაესკი. სტანისლაესკის მუზეუმის დირექტორმა ა. ნ. სოლენცევმა როგორცაც შეთხრა, რომ სტანისლაესკი პეტრეს სიყვარულითა და აღერსით „Грузинский петушок“-ს უწოდებდა. კარგი იქნებოდა, რომ პეტრე ოცხელს ნამუშევრების გამოფენა მოსკოვშიც გაიმართებოდა, რადგან იქ ახსოვთ და უყვართ დიდი შემოქმედი პეტრე ოცხელი.

ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე

თამარ ვახვახიშვილი



რუსეთსა და საქართველოში კარგად ცნობილი თეატრალური მხატვრის, პეტრე ოცხელის, ნაწარმოებების გამოფენით დანიტურესებულმა სრულიად რუსეთისა და უკრაინის თეატრალურმა საზოგადოებებმა გამოფენის გასაცნობად თბილისში მოაგვინეს მხატვარი ნ. ი. ტრიასკინი და ხელოვნებათმცოდნე ე. ლ. ლუცკაია. მათ ფრიად მალაღობით შეფასება მისცეს პეტრე ოცხელის თეატრალურ-დეკორატიულ ნაწარმოებებს.

ხელოვნებათმცოდნე ელენე ლუცკაიამ რამდენიმე დღე დაჰყო ჩვენს დედაქალაქში, ნახა სპექტაკლები მიმდინარე თეატრალური რეპერტუარიდან და 27 აპრილს სტუმრად ეწვია საზოგადოების პრეზიდიუმს. მოამბის რედაქციამ თხოვა მას გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები, რომელიც მან ჩვენი თეატრებიდან მიიღო, ე. ლუცკაიამ აღნიშნა, რომ საქართველოში ყოფნის ერთი კვირის მანძილზე დიდი თეატრალური შთაბეჭდილება პეტრე ოცხელის ნაწარმოებების გამოფენით მიიღო. მისი აზრით, პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ამ მხატვრის ხელოვნების მეტად ნათელი ინდივიდუალობა. აქ, სწორედ ეს ძვირფასი და ძნელად მისაღწევი თვისება აღმოაჩინა კოტე მარჯანიშვილმა თავის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა თანამედროვეში.

ოცხელის გამოფენაში, — შენიშნავს ლუცკაია, — საინტერესოა ფართო დიამაზონი. აქ არის, როგორც დიდი კლასიკური ციკლი — „ფერაგობა და სიყვარული“, „ოტელო“, ასევე რუსული საბჭოთა პიესებიც, რომლებიც ქართულ სცენაზე იდგმებოდნენ. ამ გამოფენით დასტურდება, რომ მხატვრის და საერთოდ აღამიანის ცხოვრება ხელოვნებაში განიზომება არა მხოლოდ იმით, თუ რამდენ წელს ცოცხლობს და ქმნის იგი, არამედ იმ ხარისხით, რომელიც მის შემოქმედებას ახასიათებს.


გამოფენებზე წარმოდგენილი არა თეატრალური ხელოვნების გრაფიკული ნამუშევრები იძლევიან შესაძლებლობას შევიხედოთ მხატვრის შემოქმედებით ლაბორატორიაში. რო-

დესაც ვუყურებთ შიშველი ნატურის გტიულს და ჩანახატებს ვერიკო ანჯაფარიძის იდეითის როლში — ვხედავთ ბრწყინვალე გრაფიკულ ნაწარმოებებს. ეს არათეატრალიზირებული ნამუშევრები ქმნიან წარმოდგენას ოცხელზე, როგორც თეატრალურ მხატვარზე. ოცხელის თეატრალური ესკიზები უსახლეოდ გოკლებს. როგორ შეძლო მან, ერთი წლის მანძილზე, შეექმნა ისეთი მონუმენტური, ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები როგორცაა „სურამის ციხე“, „ოტელო“, „სპარტაკი“, როდესაც ხედავთ ამ ნამუშევრებს, გაკვირვებთ მხატვრის შემოქმედებითი ცეცხლი და პოტენცია, რომელიც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ისეთ ოსტატს, რომელმაც დიდი თეატრალური სკოლა გაიარა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ეს სრულიად ახალგაზრდა მხატვარი გრძნობდა თავისი მოლოწეობის დასასრულის მოახლოვებას და ამიტომ ისწრაფებდა რაც შეიძლება მალე მიეძღვნა თეატრისათვის მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. პეტრე ოცხელის შემოქმედება თეატრისა და სცენისათვის უანგაზო წვეს ნათელი მიგალოთია.

ოცხელის ნამუშევარი გამოყენა ჩემთვის იზოლირებული შთაბეჭდილება როდია, განაგრძო ლუცკაიამ, ჯერ კიდევ შარშან ნახულმა ირაკლი გამრეკელის ნაწარმოებებმა, ისევე როგორც ამ გამოფენამ გვიჩვენა დღევანდელი ქართული საბჭოთა დეკორატიული ხელოვნების ბრწყინვალე ეროვნული საფუძველი. ოცხელის ნაწარმოებები აწვეთარებენ იმავე ხაზს დეკორატიულ ხელოვნებაში, რასაც ირაკლი გამრეკელის შემოქმედება. მათი შემოქმედება არის ნათელყოფა და განმარტება ქართული ნაციონალური თეატრალური დეკორატიული ხელოვნების საფუძველებისა.

აი, სწორედ ამასთან დაკავშირებით მინდა გადავიდეთ იმ შთაბეჭდილებებზე, რაც მე მივიღე ამ დღეებში თბილისის თეატრების სპექტაკლებიდან.

შეგერდები, — მარჯანიშვილ-ოცხელის




აღდგენილ ნამუშევარზე, სახელდობრ „ური-
ელ აკოსტაზე“. თეატრის გარეთ და თეატრ-
შიც ხშირად მესმოდა, რომ დღეს ამ აღდგე-
ნილმა სპექტაკლმა უკვე დაჰკარგა ის სურნე-
ლება, რომელიც მას ადრე გააჩნდა. მაგრამ
ვინაიდან შედარებისათვის შე არ გამაჩნია
რაიმე ნასალო, ამიტომ შემიძლია ვთქვათ,
რომ სპექტაკლმა ჩემზე განსაკუთრებულად
ძლიერო შთაბეჭდილება მოახდინა. როდესაც
ხედავთ ოცხელის ნამუშევარს სპექტაკლში,
მესმის მისი აბსოლუტური მონოლითეურობა,
მისი თანამოაზრეობა კოტე მარჯანიშვილთან.
ეს ფერადოვანება და მარჯანიშვილისეული
ნახატის პლასტიკური სიმბავილე, განისაზღ-
ვრება იმ სადა დეკორაციების სისტემით,
რომელსაც ოცხელი გეთავაზობს. ოცხელი
სარგებლობს მინიმალური გამომსახველობითი
საშუალებებით და აღწევს მიქსიმალურ გა-
მომსახველობას. სპექტაკლში განსაკუთრე-
ბულად საინტერესოა სცენის ორ ნაწილად
გაყოფილ პრინციპი, რაც ჩვეთვისაც, სცენის
ტექნიკურ მხარეებთან ახლო მდგომარეობისა
კი ძნელად მისახვედრია. და სწორედ ეს
საინტერესო მოულოდნელობა იყო ჩემის აზ-
რით ოცხელის შემოქმედების თავისებურება,
მე უკვე აღარას ვიტყვი იმის შესახებ, თუ
როგორაა გადაწყვეტილი დეკორატიულად
სცენა კოლონადით, სადაც თვით ამ კოლო-
ნების კოლონი ელერის ისე, როგორც მუსიკა-
ლური თანხლება.

რაც შეეხება კოსტუმებს, ვფიქრობ; თუ
დღეისათვის ოცხელის თეატრალურ ესკიზებს
ისტორიული ინტერესი აქვთ, სამაგიეროთ
კოსტუმებს არ დაუკარგავთ თავისი აქტუა-
ლობა. ახლა, ხშირად, ყველაფერი კეთდება
იმისათვის, რომ შეიქმნას კოსტუმები ცალ-
ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და
ჯამში კი ჰრელ მოზაიკის ელემენტობით, ოც-
ხელს კოსტუმში ესმის, როგორც კოლორიტის
გამოსახულება და როდესაც უყურებთ ამ
თეატრ, მაგ, წითელ ტრანებს, მაშინ, რა თქმა
უნდა გესმით, რომ კოსტუმში კი არ არის
ფლმდგენელი, ან სტილის შემქმნელი ელემენ-
ტი, არამედ სპექტაკლის ხასიათისა და სახის
გამომსახველია. კერძოდ მხედველობაში მაქვს
ივდითის, მოცეკვავე ემრაელი ქალების კოს-
ტუმები „ურიელ აკოსტადან“.

ამის შემდეგ ლუცკაია შეეხო მარჯანიშვი-
ლის თეატრის სპექტაკლს „ხეები ზეზეულად
კედებიან,“ რომელიც მას ორჯერ უნახავს,

ერთხელ მოსკოვში და მეორედ ახლა. ორი-
ვეჯერ ამბობს ის—წარმოადგენს სპექტაკლ-
ულად შესანიშნავად შესრულდეს. არაერთი
უწესრიგობა, არაერთი არააკურატულო-
ბა, რაც სამწუხაროდ ჩვენს სინამდვილეში
მეტად ხშირად ხდება. თუმცა ამასთანავე
სურვილი დამებოდა, დეკორაციები ყოფილი-
ყო განახლებული, რომ მდგეა ჯაფარიძე
ჩაცემული ყოფილიყო ახალ კოსტუმში. პიესა
თანამედროვეა და ასეთ წვრილმანებზე ყუ-
რადღების გამახვილებასაც კი მნიშვნელობა
აქვს. სპექტაკლში განსაკუთრებულ ყურად-
ღებას იპყრობს ვერიკო ანჯაფარიძის ბებიი,
რომელიც რამდენჯერაც არ უნდა ნახო, ყო-
ველთვის უსაზღვრო დიდ სიხარულს განიჭებს.
განუზომელი ინტერესი მიტაცებდა,—განა-
გრძობს ლუცკაია,—როდესაც ამავე თეატრში
მივიღიდი მისი ახალი სპექტაკლის „მე გე-
დაე მუჟს“ სანახავად. ეს ინტერესი იმითაც
იყო გამოწვეული, რომ ამ სცენებში ნაწარ-
მოების შემქმნელი კოლექტივი თითქმის იგი-
ვეა, რაც „მე, ბებიი, ილიკო და ილიარიონისა“,
ეს სპექტაკლი მე მოსკოვში ვნახე. იგი
დიდი მომხიბველობით გამოირჩევა და ამი-
ტომ ნათლად ჩამოხა მესხიერებაში. ძნე-
ლად წარმოსადგენი იყო, რომ ამ პლანის
მეორე სპექტაკლი შესაძლებელი იქნებოდა
ყოფილიყო უფრო მაღალი ხარისხის, მაგრამ
ეს ნამდვილად ასე მოხდა. ის სპექტაკლი
აუცილებელი იყო არა მარტო როგორც ხე-
ლოვნების დამოუკიდებელი მოვლენა, არამედ
როგორც საფეხური, როგორც ნაბიჯი ამ
ხასიათის ნამუშევრებში. დღემდე და ლორთ-
ქიფანძე, ასევე მხატვარი ლითანიშვილიც
ანვითარებენ არა იგივე პრინციპებს, არამედ
აფართოებენ მათ სიღრმითა და სივანით.

ეს სპექტაკლი გაოცებთ თავისი დიდი სი-
მართლით. მასში ყოველივე ისეა, როგორც
ცხავრებაში, და ისეა როგორც ეს უნდა
იყოს დიდსა და პოეტურ თეატრში. ეს არის
სიმართლის ესთეტიკური გამოსახულება სცე-
ნაზე. მაგრამ მაინც ეს არ არის პიესა. ეს არის
ინსცენირება, რომელიც აძლევს სპექტაკ-
ლის ავტორებს მიადწიონ სცენიური ნაწარ-
მოების იდეურ სიმაართეს. მე-რომ შევეკით-
ხონ, თუ რა არის საფუძველი ამ სპექტაკ-
ლისა, თუ რას ემსახურებიან ეს ემბოიდები,
ვუპასუხებდი,—დიდი სიმაართის შეგრძო-
ბას. სპექტაკლში შესანიშნავადაა ნათვნი
მოულოდნელი გადასვლები. მაგალითად, სამ-



ხედრო გაცვეთილის სცენა, როდესაც მასწავლებლის თითქმის გროტესკული ფიგურა ვადაიზრდება ღრმად დრამატულში. ჩვენ აქ ვიგრძენით ადამიანის არსი, ვიგრძენით, თუ როგორ შემოაბრუნა რეჟისორმა ადამიანის ხასიათი. ადამიანური ხასიათების აღმოჩენა მიჰყვება მთელს პიესას და სპექტაკლს. ჩემის აზრით სპექტაკლი „მე ვეხადე მუხს“ არის ხაზულური და ამივე დროს ღრმად პარტიული ე. ი. ის რაც მოეთხოვება ჩვენს ხელოვნებას. ეს მართლაც თანხმობენი სპექტაკლია ჩვენი დღევანდელი ფიქრებისა და მღელფარებისაო, დააკვნა სტუმარმა.

ე. ულუკაიამ რუსთაველის თეატრში სამი სპექტაკლი ნახა „რღვევა“, „სასწაულმოქმედი“ და „ფიროსმანი“. პირველის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ გააოცა მასიური სცენების სიდიადემ, ხოლო კამერული სცენები ნაკლებ მოეწონა. შეიძლება, — განაგრძობს სტუმარი, — ახმეტელის დროს ეს კამერული სცენები აგებული იყო ძალიან ღრმა და ცოცხალ ფსიქოლოგიაზე, ამასთანავე მსახიობებიც ხომ სხვები იყვნენ. სამწუხაროდ მე ვერ ვნახე მსახიობთა ის შემადგენლობა, რომელიც დაკავებული იყო „რღვევის“ ადრინდელ წარმოდგენებში. რაც შეეხება მხატვარს, გულწრფელად უნდა ვთქვათ, რომ ინტერიერი არ მომეჩვენა ირაკლი გამრეკელის ნამუშევრად. იგი სულ სხვა ვადაწყვეტაშია მოცემული. დიდად განსხვავებულია გემბანისაგან, რამდენადაც ეს უკანასკნელი საინტერესო და გონებაშეხვედრითაა, იმდენად არა საინტერესოდ მეჩვენა მე ინტერიერი.

რუსთაველის თეატრის მეორე სპექტაკლი „სასწაულმოქმედი“ ლენინგრადის თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტ რეჟისორს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სანდრო მრკველიშვილის ეკუთვნის. ამ სპექტაკლს მე ვერ წაფუყენებ მკაცრ მოთხოვნებილებს, მაგრამ სიამოვნებით მინდა აღვნიშნო ის დადებითი ღირსება, რომელიც ამ სცენურ ნაწარმოებს გააჩნია განსხვავებულად მოსკოვის ეროლოგის სახელობის თეატრის სპექტაკლისაგან. სახელობრ: აქ, თქვენს სპექტაკლში, გოგონას აღსაზრდელად ჩამოსული პედაგოგი (ამ როლს მსახიობი ს. ყანჩელი ასრულებს) გამოუცდელია, ის მეტად ძნელ საქმეს შეება. სწორედ ეს არის საინტერესო; იგი, აღმზრდელი, აღსაზრდელთან ერთად იზრდება და ყალიბდება. აქ ხდება ორი ხასია-

თის დაბადება. ამდენად თქვენი მსახიობის მუშაობაც უფრო საინტერესოა. მსახიობი თეატრში კი ეს სინ არ არის. მსახიობის აღსაზრდელად ჩამოდის სრულიად ჩამოყალიბებული და გამოცდილი პედაგოგი, რომელიც მართალია აღწევს მიზანს, მაგრამ არ ჩანს ის, რაც თქვენთან, ე. ი. სხვადასხვა ხასიათები და მათთან ორმაგი ბრძოლა.


მინდა შევიჩერდე რუსთაველის თეატრის კიდევ ერთ სპექტაკლზე „ფიროსმანიზე“. აქ განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩემზე სერგო ზაქარაიძის ნამუშევარმა მოახდინა. როდესაც ისეთი გაქანების როლს ეხები, როგორიც ფიროსმანია, ხდება ისე, რომ რაღაც ადგილები კარგია, მოგწონს, რაღაც არ მოგწონს, აქ კი, ზაქარაიძის განსახიერებაში ყველაფერი მაღალ დონეზე დგას. მთელი სახე ერთი სუნთქვით არის შექმნილი. დიდი მღელვარებით მივლილი ამ სპექტაკლზე. ველაგადი, რადგან ფიროსმანი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მხატვარია. იგი აბსოლუტური სიწმინდეა. იგი თვით ქმნიდა საკუთარ სამყაროს. მან ბინძური, გულსამრევი გარემოდან შექმნა პოეტური ნაწარმოებები და რა თქმა უნდა ეს საკვირველია. ზაქარაიძემ თავისი ფიროსმანი ფიროსმანისავე შემოქმედებიდან შექმნა. ზაქარაიძე სახეს ქმნის დიდი ტაქტით. თქვენ ხედავთ ფიროსმანის თვალებს, თვალბებს რომლებიც ყველაფერი თავისებურად ხედავენ. ეს ის კაცია, რომელმაც შანტანში მომღერალ ქალისაგან შექმნა საყვარელი არსება. ეს ის კაცია, რომელმაც ღამის ქეიფობებიდან პოეტური ნაწარმოებები შექმნა. მთელი პირველი მოქმედების მანძილზე ის ინარჩუნებს პოეტურ ლეიტმოტივს; როდესაც ფიროსმანი წითელი ყვავილით გამოდის ეს მას აცილებს ყოფით კონკრეტულობას და ამაში ნამდვილი სიმბოლო მოჩანს.

მსახიობის მიერ დიდი სიზუსტითაა ნაჩვენები მხატვრის სულიერი ცხოვრების ყველა ეტაპი, ისიც თუ როგორ დაეშვა ის გარეგნულად და ისიც, თუ როგორ შეინარჩუნა მან თავის მოქმედებაში რწმენა. ზაქარაიძის ფიროსმანს გააჩნია რაღაც შინაგანი თემა შემოქმედებისა, ამ თემის კვანძს ის თავის თავში ხედავს. დიდებულია პირველი მოქმედების ფინალი, როდესაც მხატვარი ძველი თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე ზის თავისივე სურათით. აქ მოცემულია შემოქმედების ტრაგიკულიცა და სასიხარულო თემის სრულ-

ლიად გასაოცარია სპექტაკლის ფინალი. ფიროსმანთან მოაქვთ გაზეთი. მხატვარმა მთელი თავისი ცხოვრება, საკუთარი თავი ხელოვნებას შესწირა და სამაგიეროდ მიიღო გაზეთის ნაგლეჯი. ეს არის წარმოუდგენელი დასასრული ტრაგედიისა და შეიძლება თემის ასეთი გადაწყვეტის ცოდნაშია საერთოდ ქართული თეატრის თავისებურება. ასეთი

ფინალისათვის კაცმა შეიძლება ჩამდინარე
შე ნახოს სპექტაკლი.

საუბრის დასასრულს ლუკაიამ განაცხა-
და, რომ მისი თეატრალური შთაბეჭდილე-
ბანი დაწყებული პ. ოცხელის გამოფენით
და დამთავრებული თბილისის თეატრების
რეპერტუარით არის დიდად მნიშვნელოვანი-
შენაძენი სპეციალიტისათვის და დაუფიქარ-
განცლა მაყურებლისათვის.



საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ 1963 წ. 7 მაისს ხელოვნების მუშაკთა სახლის სხდომათა დარბაზში მოაწყო დისკუსია მიძღვნილი მარჯანიშვილის თეატრის სექტაკლისადმი „მე ვხედვ მზეს“.

დისკუსია შესავალი სიტყვით გახსნა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებას“ რედაქტორმა ა. მ. მ. ოთარ ევაძემ. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრები ხელოვნების მუშაკებთან და ჩვენი ცენტრალური პრესის საპროგრამო გამოსვლები ერთხელ კიდევ ნათელჰყოფენ, თუ რა დიდი როლი ენიჭება თეატრს მასების კომუნისტური იდეოლოგიის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ორატორი იმეხალმა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმისა და ხელოვნების მუშაკთა სახლის ხელმძღვანელობის ინიციატივას, რომელთაც ითავეს შემოქმედებითი დისკუსიის მოწყობა. მისი აზრით ასეთი ხასიათის ღონისძიებები კიდევ უფრო განამტკიცებენ მწერლების, თეატრის მოღვაწეთა და მკვლევრებელთა ურთიერთკავშირს, ხოლო სიტყვებში გამოსული ამხანაგების აზრები იქნება მეგობრობისა და ურთიერთგაგების საწინდარი.

სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს ა. მ. შალვა მაკავარიანს.

ქართულმა საბჭოთა კომედიაში—ამბობს მომხსენებელი—რომელსაც დასაბამი შალვა დადიანისა და პოლიკარპე კაკაბაძის ნიჭიერად დაწერილმა კომედიებმა მისცეს, თავისი სცენიური სრულქმნა და ჰუმორიტი მხატვრული ფორმირება ჩვენი საუკუნის 20-იან წლების მიწურულში ჰპოვა, დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებით გენიის წყალობით და მისსავე ხელმძღვანელობით არსებულ (შემდგომში მისი სახელობის) თეატრში. და რა რიგ სასიამოვნოა,

ნოა, რომ ამ თეატრში დღესაც უხვად იგრძევა კოტეს ნიჭისათვის დამახასიათებელი ჯანსაღი იუმორი, უხადო და ლაღი, დიდი რეჟისორის სურნელით აქვრებულ სიცილი, გულანა და უხანჯო, რომელიც მოწოდებულია—სიხარული მიანიჭოს, სიმხნევე შთაბეროს ადამიანს.

ცნობილია, რომ კოტე მარჯანიშვილი იყო მხატვრულ ნაწარმოების სცენური კითხვის უხადო ოსტატი და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მისი სახელობის თეატრი თავისი მასწავლებლის ამ დიდებულ ტრადიციას კვლავაც აგრძელებს. უკანასკნელი ორი სეზონის მანძილზე—შენიშნავს მომხსენებელი—შესანიშნავი სცენური წაკითხვა ჰპოვა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ნოდარ ღუმბაძის ფრიალ ნიჭიერად დაწერილმა მოთხრობებმა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედვ მზეს“. ნოდარ ღუმბაძე—განაგრძობს მომხსენებელი, ფრიალ ორიგინალური პოეტური ხმის და ჰუმორიტი შემოქმედებითი მგზნებარების მქონე მწერალია, საუცხოო და ნიჭიერი გამგრძელებელი ქართული იუმორისტული მწერლობის ჩინებული სკოლისა.

ნ. ღუმბაძის მოთხრობებში—აღნიშნავს მაკავარიანი—„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედვ მზეს“, იუმორი ნაწარმოების დასამშვენებელ ჩუქურთმას, ან ლამაზ პოეტურ ხერხს ქი არ წარმოადგენს, არამედ სრულიად სერიოზულ საშუალებას კეთილ ადამიანების უაღრესად გულთბილი, უაღრესად ჰუმანური დამოკიდებულებების ასახავად. ამ ნაწარმოების გმირები ჰუმორიტად დიდი გულის, დიდი კეთილშობილების მქონე ადამიანები არიან. ღუმბაძის იუმორი მოხალისისადაც რწმენის განმტკიცებას ემსახურება და ამით მარჯანიშვილისეულ დევებს ამკვიდრებს მწერლობასა და თეატრალურ ხელოვნებაში—მიანიჭოს სიხარული, შთაბეროს სიმხნევე ადამიანს.

მომხსენებელის აზრით ნ. ღუმბაძის უკა-



ნასკენელი მოთხრობა „მე ხედავ მზეს“ — ნათელი პოეტური ასახევა სამამულო ომის მძიმე წლებში საბჭოთა ადამიანების ყოფისა, მათი უღრეკი ნებისყოფისა და მებრძობებისა, მათი თავდადებული შრომისა, მათი ფაქიზი, მგრძობიარე ურთიერთ დამოკიდებულებისა, დიდი ადამიანური სიყვარულისა, ჰუმანიზმისა, ერთიანობისა და სიმტკიცისა.

მოთხრობის სიუჟეტი — ამბობს მომხსენებელი — საინტერესოდ და დამაჯერებლად ვითარდება, გმირთა ურთიერთობა ბუნებრივია, ხასიათები წმინდა ეროვნულ ასპექტში არიან ჩამოყალიბებული და გურულ კოლორიტში ვადაწვეტილი; რაც კიდევ უფრო მატებს მიმზიდველობას ამ ნაწარმოებს.

არ არის დარღვეული მოთხრობის მთლიანი სიუჟეტური ხაზი. ყველა მოქმედი პირი, ისევე, როგორც მოთხრობაში, დახასიათებულია სრულად და ფერთა ზომიერი შეხამებით, ხასიათთა მტკიცე ფსიქოლოგიური გამოკვეთილობით. ამასთან პიესაში ვერ იხილავთ გაჭიანურებულ დიალოგს ან ამბავის გრძობად თხრობას მონოლოგებში.

ვადავიდა რა უშუალოდ სპექტაკლის განხილვაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გიგა ლორთქიფანიძეს არ დაუკლია მოწადინება იმისათვის, რომ პროფესიულად რსულქმნილი, სანახაობრივად მდიდარი, მართებულად გააზრებული სპექტაკლი შეექმნა. აზრანადაა განლაგებული მასობრივი სცენები, დინამიურად, სხარტად მიმდინარეობს კოლმეურნეობის კრება. გ. ლორთქიფანიძეს ჩინებულად აქვს გამოყენებული მარჯანიშვილისეული მხატვრული კონტრასტის მეთოდი. რეჟისორთან ერთად მხატვარს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ოთარ ლიბანიშვილს მშვენიერი ვადაწვეტა მიუწინავეს სპექტაკლისათვის. 17 სურათი ერთ დასახევა ასხმული, თუმცა მრავალი სურათის მხატვრული ვადაწვეტა პირობითია, მაგრამ ეს პირობითობა დამაჯერებელია და სრულიად მისაღები მაყურებლისათვის ვაკოცებას იწვევს მხოლოდ წისქვილით ფარღალადა სახურავის ჩამოკიდება, ნუთუ მშვენიერად და მკაფიოდ გამოკვეთილი კოდი და დოლაბი ვერ შექმნიდა წისქვილის შთაბეჭდილებას? მომხსენებლის აზრით კარგი იქნებოდა სპექტაკლის მხატვრული ვადაწვეტის დროს პი-

რობითობა ბოლომდე ყოფილიყო ვაკოცული რაც ასე არ არის და მოვლენები, სხივად ნატურალისტურადაა ვაშიშვლებული.

მომხსენებელს ასევე უმართებულოდ მიაჩნია, ის ვარაუდობს რომ რეჟისორი სცენაზე ანატოლს რუსულად ალაპარაკებს, ხოლო გერმანელ ტყვეს — გერმანულად. სცენა ბევრ პირობითობას იტანს და მომხსენებლის აზრით, ამ პერსონაჟების ქართულად ლაპარაკსაც კარგად აიტანდა. ასევე უმართებულოდ მიაჩნია მას მთელი რიგი სცენების ნატურალისტურად ვადაწვეტა. მთელი ერთი სურათის მანძილზე სოსოია ტრუსსკსა და მაისურის აპარა დიტანტალობს სცენაზე, ხოლო მაშიდა ლამის პერანგის აპარა თამაშობს მთელს სურათს. ან რას ვადა მოვლენებს ისეთი ნატურალისტური ვადაწვეტა ხატია ვადაჩენის სცენაში, როცა დათიკო (მსახიობი ი. ტრიპოლსკი) მთლიანად სველი შეიოდის სცენაზე, მაშინ, როდესაც წყლით ვადაღული ხატია სრულიად მშრალი უმართავს ხელში? სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოთ, რომ ეს შენიშვნები იოლი ვამოსასწორებელია, ამბობს მომხსენებელი, საერთოდ კი მარჯანიშვილის თეატრის აღნიშნული სპექტაკლი არა მარტო თეატრისა და რეჟისორის, არამედ მთელი ქართული თეატრის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი სერიალული ვამარჯებაა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მსახიობური ძალები ამ სპექტაკლში იმდენად ძლიერია, რომ ჭირს მათი ვამოყოფა, ამიტომ დახასიათებას პროკოპის ნიხედვით მიჰყვება. სოსოიას როლს სპექტაკლში ახალ-ვაზრდა მსახიობი გიორგი ქავთარაძე ასრულებს. გულწრფელობით და უშუალოებით, სისადავითა და უბრალოებით ქავთარაძის სოსოია მომხმბლავ შთაბეჭდილებას ტოვებს. — იგი თანდათან იზრდება და ვაკაკიდება მაყურებლის თვალწინ, იგი ჩინებულიად ასახავს სოსოიაში კაცური თავმოყვარეობის ვადაცდებას, მომწიფებული ჭაბუკური გრძობების მოზღვავებას. ვასოცარი თავშეყავებით, ზომიერებითა და სცენური კულტურით ხასიათდება ქავთარაძის სოსოია და ამაში მომხსენებლის აზრით დიდი როლი მიუძღვის სპექტაკლის დამდგმელს გიგა ლორთქიფანიძეს. ერთადერთი მომენტი — მომხსენებლის აზრით — როცა მსახიობს მუშაობაში ერთგვარი სისუსტე იგრძნობა, არის სოსოიას მონოლოგი ბეჟანს საფლაკთან.

არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ მოთხოვნის და სექტრატელის ავტორებს, რომლებსაც სურთ რა აჩვენონ სოსოიას, ამ პირტიტველა ქაბუტრია კაცური სისადაე და კეთილშობილება, ბეგანის საფლავთან მოიყვანენ შას და აჩრდილთან ასაუბრებენ. ამ სერიაზული ფსიქოლოგიური სიტუაციის დროს სოსოია უყვება თალიკოს კორკიმელზე მომზობიარების ამბავს. ვფიქრობთ არ შეიძლება ასეთი ხუმრობა იქ, სადაც სიკვდილის აჩრდილი სუფევს.

მსახიობმა ქეთევან კიკნაძემ უსინათლო ხატისა ფრიად სრულქმნილი, სიმპათიური და საყვარელი სახე შექმნა. კიკნაძე-ხატია გულწრფელი გულბურჯვილი და მომხიბლავია. იგი ოპტიმისტია და ცხოვრებას ეტრფის. ქ. კიკნაძე ყველა მომენტში დამაჯერებელია, მისი პალიტრა მდიდარია ფერებით და ტონებით. უტყვერით მას და გაოცებთ მსახიობის საზრიანობა, გულისხმიერება, ყურადღების სრული კონცენტრაცია. მსახიობი კიკნაძე განსაკუთრებული სახის მეტყველებითაც გამოირჩევა. არ შეიძლება ადამიანის სახეზე უკეთ აისახოს მისი გუნება განწყობილებანი თუ სულიერი ძვრები, ვიდრე კიკნაძის სახეზე ისახება.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, მზია მახვილადის, მამიდა ქეთო ძუნწად, მაგრამ ფრიად მკაფიოდ გამოკვეთილი სცენური სახეა—აღნიშნავს მომხსენებელი. მსახიობი თავშეგაგებული ხერხებით გვიხატავს გასაოცარი ნებისყოფის, მტკიცე შემართების, გონება დინჯ ახალგაზრდა პედაგოგ ქალს, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და ახალგაზრდული ენერჯია შესწირა ძმისშვილის აღზრდას, ხალხის სამსახურს, თავისი პროფესიის სიყვარულს. ასეთივე სიყვარულით და ადამიანური სიბოლოთი არის აღბეჭდილი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თამარ თეთრბაძის მამიდა ქეთოც. ის თითქოს უფრო გულთაა; გულგახსნილი, მაგრამ მტკიცე ნებისყოფითა და დიდი ზომიერებით აღჭურვილი.

დათიკოს როლს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ტრიპოლსკი და მსახიობი გ. გელოვანი ასრულებენ. ტრიპოლსკიმ თანმიმდევრობით და ოსტატობით გამოკვეთა დათიკოს სახე. სხვა შტრიხებში განავითარა დათიკოს სახე გ. გელოვანმა. მისი დათიკო თითქოს უფრო ვიკტორია. პირველ ხანებ-

ში იგი აგრესულია, მერე კი თანდათანობით ფარხმალს ჰყრის და განადგურებული მიდის. შეიძლება ზოგს სადაოდ მოეჩვენოს როლის გელოვანისებური ვაგება, მაგრამ მომხსენებლის აზრით იგი სწორი და სამართლიანია. მომხსენებელს მიაჩნია, რომ რესპ. დამსახ. არტისტის ალ. სიხარულიძის ლუკია ფოცხიშვილი—საგულისხმო და ნატიფად ნაკვეთი სცენური სახეა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსახიობს როლი მილოიანდ მხატვრულ კონტრასტებზე აუგია.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეწერდა რესპ. დამსახ. არტისტის კუჟური ლაფერაძის ბეგანაზე. ეს როლი—მომხსენებლის აზრით უთუოდ სრულქმნილი სცენური სახეა, რომელიც შეიძლება გვერდში ამოუყენოთ საუკეთესო სახასიათო სახეებს. ბეგანა სცენაზე სიმღერით შემოდის. მას თითქოს სიმსუქნე უხდება, ენაშორლექილობაც მომხიბვლელობას მატებს, მის ხასიათში ბევრია ბავშვური. რამდენი კეთილშობილებაა ქ. ლაფერაძის ბეგანაში, როგორი სადა, მომხიბლავი და უბრალო, მსახიობი სოსოიასთან საუბარში, როგორი მართალია და გამომსახველობითი ხერხებით მდიდარი სიკვდილის სცენაში. მიუხედავად ამისა მსახიობი ზოგჯერ აშკარა ვადაქარბებასაც მიმართავს, მაგრამ საერთოდ ლაფერაძეს მონუმენტური სცენური ფორმა მოუნახავს როლისათვის და იგი მიღობი ოსტატობით გამოუყვეთია. რაც უფრო მეტს დაიცავს იგი ზომიერებას, მით უფრო მოიგებს ლაფერაძის მიერ შექმნილი სახეც.

მომხსენებელი კმაყოფილებით აღნიშნავს კოწია ფოსტალიონის როლში მსახიობ გიზო სიხარულიძის გამოსვლას. პირველი გამოჩენიდანვე გრძობობ, ამბობს იგი, რომ მსახიობი სრულად ფლობს საკუთარ თავს.

სამხედრო მასწავლებლის სახე მის ორივე შემარულბელს, რესპ. დამსახ. არტისტს ტარიელ საყვარელიძეს და მსახიობ კოტე თოლორაიას გროტესკში აქვთ გადაწყვეტილი, მაგრამ მით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სცენური სახეები შეუქმნიათ. ტარიელ საყვარელიძე თანამიმდევრულად, ოსტატურად აყალიბებს ტრახანა ჯარისკაცის სახეს, ქ. თოლორაიას სამხედრო მასწავლებელი კი უფრო ფორსის კაცია, თავის თავში უსაზღვროთ შეყვარებული, მაგრამ ადამიანური სიბოლოთი აღჭურვილი.

ანატოლის როლს მსახიობები თენგიზ არ-



ჩემდე და თენგიზ მაისურაძე ასრულდნენ. ორივემ გულმართალი, პატიოსანი რუსი ჯარისკაცის საინტერესო სახე შექმნეს და ორივენი აქტიური და შესრულების სისადავით, ზომიერებით და მაღალი გემოვნებით გამოიჩინეს.

მომხმობლავია რესპ. დამსახ. არტისტის გრიგოლ კოსტავას ბეგლარა, პოლიტიკური ვითარებით დაინტერესებულს, გულმართალი და პატიოსანი გურული გლეხი. ქარგია ამავე როლში რესპ. დამსახ. არტისტი გიორგი ტატიშვილი, მას უფრო ემიურ ტონებში მიჰყავს როლი და დინჯი, სისხლმწიფი მოხუცის სახეს ჰქმნის. კოლმეურნე ქალთა როლების შემსრულებელთაგან საინტერესოა ქსენია ლ. შოთაძის შესრულებით, შესანიშნავე სცენურ ფორმაშია ჩამოქანდაკებული ბ. შიშირაშვილის აკვირინე. კორიკანა გურული ქალის უაღრესად მარათალი სახე შექმნა ნინო ჩხეიძემ. მიქელაძის კაკანო გზიბლაძეთ თავის უშუალოდით და გამომსახველობითი ხერხების სისადავით.

მსახიობმა ბონდო გოგინავამ ბაბილოს საინტერესო და მიმზიდველი სახე შექმნა. საუცხოო მხატვრულ პორტრეტს ჰქმნის რესპ. დამსახ. არტისტი ვახტანგ ნინუა. ნერგული თვალის ქუტცვა და ენდაბმულობა თითქოს აღამაზებს კიდევ მის მიერ შექმნილ სცენურ სახეს. ქარგია რესპ. დამსახ. არტისტის დავით ქუთათელაძის ზოსიმე. რესპ. დამსახ. არტისტის დავით ოქროსცვარაძის ქიშვარდა ტრაბახა და ფახიფუხა თავმჯდომარის საქაიოდ ტიპური სახეა. უბრალო და სადა შესრულებით გამოიჩინეს მსახიობები: გ. გოციჩელი და რესპ. დამსახ. არტისტი პ. ინჭკრიველი ბესარიონისა და გერასიმეს როლებში. ემიზოდური, მაგრამ პროფესიულად სრულქმნილი სცენური სახეა მსახიობ ვ. კვიციანიშვილის ედემიკა, ასუსხისმგებლობით მოპკიდებიან თავიანთ როლებს და დამსახისთვის რეგული სახეები შეუქმნიათ ზაირა ლებანიძეს (მარგალიტა), ე. საყვარელიძეს (კესარია), ზ. ზალდატანიშვილს (ევენია), ზ. იოსელიანს (მაყვალა), ე. ერქომაიშვილს (ვარვარა). სხარტი და დამაჯერებელი იყვნენ მოსწავლე ბიჭების როლებში შ. სხირტაძე, ე. თოფურია, გ. ბერიქაშვილი, გ. გოგუა. ასევე დამაჯერებელი ემიზოდური როლები შექმნეს შ. თაბუჯაშვილმა, ჯ. მაზაშვილმა, ჯ. გაგნიძემ და თ. მაისურაძემ.

დასასრულ მომხსენებელი კვლავ აღნიშნავს, რომ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „ეი ვხედავ მეს“ წარმოადგენს ამ ნიჭიერი კოლექტივის მნიშვნელოვან გამარჯვებას.

მოსხენების შემდეგ გამართა ცხოველი კამათი. სიტყვა იძლევა თეატრმცოდნის ე. კვირკველიას. მისი აზრით ძნელია აღნიშნული სპექტაკლის მთლიანობაში აღქმა, ამის მიზეზი კი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სპექტაკლში სათანადოთ არ არის გამომუშავებული არც მთლიანი სიუჟეტური ხაზი და არც ერთიანი ტემპო-რიტმი. მას ასევე სადაოდ მიაჩნია კ. ლაფერაძის შესრულებული ბენანას სახე.

დრამატურგი ლ. მილორაფა არ ეთანხმება კვირკველიას აზრს, თითქოს პიესაში ერთიანი სიუჟეტური ხაზი დარღვეული იყოს. თავის მხრივ მას საკამათოდ მიაჩნია დიოკოს სახე, ვინაიდან დიდ სამამულს ომის დროს ქართველებისათვის გამოყვლეობა, დეზერტირობა არა ტიპური მოვლენა იყო.

ვლ. მაჭავარიანის აზრით. დუმბაძის ორივე ნაწარმოების წარმატების მიზეზი უპირველეს ყოვლისა ავტორის ნიჭიერებაში უნდა ვეძიოთ. აღნიშნული ნაწარმოები ასახავს ეროვნულ ხასიათებს და ამ ეროვნულ ხასიათებში ჩატკიცვლია ზოგადსაკაცობრიო იდეები. სპექტაკლის გამარჯვების ერთ-ერთ მიზეზად ორატორს ნაწარმოებში ასახული რეალური ცხოვრება მიაჩნია. მისი აზრით თეატრს მოძებნილი აქვს ახალი გასაღები, მონახული აქვს სიმართლე და ამიტომ მსახიობებიც ბუნებრივად და კარგადა თამაშობენ.

მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა, სოსოიას როლის შემსრულებელმა გ. ქავთარაძემ. მადლობა გადაუხადა მაყურებელს გულწრფელი შეფასებისათვის და აღნიშნა, რომ მან ბევრი რაზმისათვის მადლობა რეჟისორს უნდა გადაუხადოს. სპექტაკლზე მუშაობის დროს ისეთი შთაბეჭდილება გვექმნებოდა,—თქვა მან—თითქოს ყველაფერს შე თავად ვაკეთებდი, რადგან რეპერტიციებზე რეჟისორი არ მიშლიდა გამეკეთებინა ყველაფერი ისე, როგორც მსურდა, მაგრამ გზადაგზა—ფრთხილად, შეუშინებლად მაილიებდა ყველაფერ ზედმეტსა და ყალბს.


პიესის ავტორმა ნ. დუმბაძემ თავის გამოცდაში მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და აღნიშნა, თანავტორისა და რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის დიდი დამსახურება სპექ-

ტაკლის შექმნაში. ავტორმა დიდი მადლობა გადაუხადა თეატრის მთელ კოლექტივს, რომელმაც ასეთი სიყვარულით მოაქიდა ხელი აღნიშნული ნაწარმოების გასცენიურებას.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე. იგი არ დაეთანხმა მომხსენებლის მთელ რიგ შენიშვნებს, მაგალითად უხეში ტქმების კრიტიკას, რადგან მისი აზრით მახვილი სიტყვა, რომელიც ხანდახან უხეშიც კია, დასაძრავისი არ უნდა იყოს. რეჟისორი არ დაეთანხმა აგრეთვე მომხსენებლის აზრს ანატოლის რუსულად და გერმანელი ტყვეს გერმანულად აღაპარაკების მიზანშეუწონილობის შესახებ. ასევე არ გაიზიარა მან შენიშვნა სოსოიას ნახევრად ტიტველა და მამიდას ღამის პერანგით გამოყვანის არაესთეტურობის შესახებ. რეჟისორს მიაჩნია, რომ სოსოიას როლის შესრულებაში ყველაზე ბრწყინვალე სცენა ეს არის სცენა ბეჟანას საფლავთან. რეჟისორის აზრით, ნ. დუმბაძის სახით მარჯა-

ნიშვილის თეატრს მოეცლინა „თავისი“ დრამატურგი რომელთანაც თანამშრომლობა უთუოდ ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება. გ. ლორთქიფანიძემ მადლობა გადაუხადა დისპუტის მომწყობთ და უსურვა მათ ასეთი სახის შემოქმედებითი შეგობრობის შემდგომი განმტკიცება.

დასასრულ, დისპუტის თავმჯდომარემ ო. ეგაძემ შეაჯამა კამათის მიმდინარეობა და აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა და რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ კარგი საქმე გააკეთეს, რასაც მოწმობს საზოგადოების დაინტერესება აღნიშნული სპექტაკლით. მანვე აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის თეატრის გვერდით წარმატებით შრომობს მეორე შესანიშნავი თეატრი, რუსთაველის სახელობის თეატრი და რწმენა გაჰოსთქვა, რომ ისინი ძალასა და ენერჯიას არ დაიშურებენ, რათა თავიანთი შემოქმედება უფრო ახლობელი, უფრო გასაგები და საყვარელი გახადონ ხალხისათვის.



პალერინან გუნიას საიუბილეო ღღეები საქართველოში

მიმდინარე წლის მაის-ივნისში ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ იქნა აღნიშნული გამოჩენილი ქართველი მსახიობის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის ვალერიან გუნიას დაბადებიდან 100 წლისთავის აღზილე.

18 მაისს ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და საქართველოს მწერალთა კავშირმა მოაწყო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ვ. გუნიას ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა ანხ. ირ. აბაშიძემ. მოხსენება თემაზე: „ვალერიან გუნიას ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ჯანელიძემ, ხოლო მოხსენება თემაზე: „ვალერიან გუნიას დრამატურგია“ — წაიკითხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ციციშვილმა.

სესიაზე საინტერესო მოვანებებით გამოვიდნენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ცაყა ამირეჯიბი, თეატრმცოდნე სერგო გერსამია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი შილვა მაჭავარიანი.

20 მაისს ობილისს ზ. ფალაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ვალერიან გუნიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სიაუბილეო საღაშო. საღაშო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ანხ. თ. ბუჩაჩიძემ, მოხსენება ვ. გუნიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ანხ. ბ. ჟღენტმა.

სიაუბილეო საღაშოზე სიტყვებით და მოვანებებით გამოვიდნენ — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები — დ. ანთაძე, ს. დლო-

ძე, პ. ფრანგიშვილი და საქართველოს კ. პ. ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი ანხ. ვ. კვარაცხელია, საქ. სახალხო მსახიობმა მ. ჯაფარიძემ წაიკითხა გამოჩენილი ქართველი მსახიობის ნ. ჩხეიძის მოვანება ვ. გუნიაზე.


როგორც მომხსენებელმა, ისე მოვანებებითა და სიტყვებით გამოსულმა ანხანაგებმა აღნიშნეს ვალერიან გუნიას უდიდესი დამსახურება ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში და მისი როგორც ნიჭიერი მსახიობის, ნაყოფიერი დრამატურგისა და თეატრის ორგანიზატორის დიდი ღვაწლი. ვ. გუნია ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრს, თამაშობდა მის სცენაზე და კვებავდა ქართულ დასს, როგორც ორიგინალური ისე გადმოკეთებული და თარგმნილი პიესებით. ორატორებმა ილაპარაკეს აგრეთვე ვ. გუნიას ნაყოფიერ საზოგადო და პუბლიცისტურ მოღვაწეობაზე.

სიაუბილეო ღღეებთან დაკავშირებით, ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით ფოთის სახელმწიფო თეატრს მიეკუთვნა ვალერიან გუნიას სახელო.

29 მაისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ფოთში მოაწყო სამეცნიერო სესია და სიაუბილეო საღაშო, მიძღვნილი ვალერიან გუნიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი.

სიაუბილეო ღღეებში საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა ცხაკაიის კულტურის სახლის უნივერსიტეტთან ერთად ქ. ცხაკაიაში მოაწყო ვ. გუნიასადმი მიძღვნილი გამსვლელი სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ამავე მუზეუმის დირექტორმა ანხ. ვ. კაკაბაძემ. წაიკითხილი იქნა მოხსენებები: „ვ. გუნიას ცხოვრება და მოღვაწეობა“ მომხსენებელი თეატრმცოდნე ვ. ვერსამია; „ვ. გუნიას საქართველოს კალენდარი“ — მომხსენებელი მწერალი ნ. ავაიშვილი; „ვ. გუნია და ივ. მაია-



ბელი — მომხსენებელი მუზეუმის მეცნიერ მუშაკი დ. შულღიაშვილი; „ნიწო ვომელაური — გუნის მოგონებანი“ — მომხსენებელი მწერალი ანა ლენინაშვილი; „ვ. გუნია და ალ. სუმბათაშვილი-იუენი“ — მომხსენებელი მუზეუმის უფროსი მეცნ. მუშაკი ნ. ჩიხლაძე; „ვ. გუნია სოფოკლეს ტრაგედიაში — ანტიგონე“ — მომხსენებელი პროფესორი პ. ბერაძე და სხვა. მოგონებით გამოვიდა აგრეთვე საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის პასუხისმგებელი მდივანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე.

ცხაკაია რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით ქალაქ ცხაკაიას ერთ-ერთ ქუჩას — ყოფ. შტაბის ქუჩას ეწოდა ვ. გუნის სახელობის ქუჩა.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის შემდეგ ვალერიან გუნის დაბადების 100 წლისთავი ფართოდ აღინიშნა აგრეთვე ქალაქ ფოთში.

28 მაისს ქ. ფოთის კულტურის სახლში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკთა ძალებით მიეწყა ლექცია მიძღვნილი ვალერიან გუნის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. ლექცია თემაზე „ვ. გუნია და ქართული კინო“ წაიკითხა კინორეჟისორმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ. ლექციის დასასრულს დამსწრე საზოგადოებას უჩვენეს ფილმი „მთის კანიონი“, რომელშიც ვ. გუნია მოხუც ბედიას როლს ასრულებდა.

29 მაისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად ქ. ფოთის სახელმწიფო თეატრში, რომელსაც ამასწინად მიენიჭა ვ. გუნის სახელი, მოაწყო რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვალერიან გუნის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია და საიუბილეო საღამო.

სამეცნიერო სესია, რომელიც დღის 12 საათზე დაიწყო, გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ანთაძემ. მოხსენებით „ვალერიან გუნის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — გამოვიდა ხელოვნებათმცოდნეების დოქტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჯანელიძე. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები: პ. ფრანგიშვილი, ც. ამირეჯიბი, ს. დოლიძე, თ. ჭავჭავაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე, რომელნიც გულთბილად ივგონებდნენ ვ. გუნისათან შეხვედრებსა და საუბრებს.

საიუბილეო საღამოზე თავი მოიყარა ქ. ფოთის საზოგადოებამ — მუზეუმმა, მრასმსახურებმა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცრებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ანხ. გრ. დარჯიანიამ. თეატრმცოდნე დიმიტრი ჯანელიძემ თავის მოხსენებაში ილაპარაკა ვ. გუნის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ. დაახასიათა იგი, როგორც შესანიშნავი მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, თეატრალისტი და პედაგოგი, რომლის დახმარებითაც არაერთმა შემდეგში გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა აიღვა ფეხი ქართულ სცენაზე. მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა ადამიანი, რომელიც ყოველთვის ერთ-ერთი წამომწყები და აქტიური მონაწილე იყო ყველა იმ მნიშვნელოვანი საქმეებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველი ხალხის რევოლუციამდელ ცხოვრებაში.

საიუბილეო საღამოზე სიტყვები წარმოთქმეს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა პ. ნაცელიშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, ქარხანა „ფოთელექტრო აპარატის“ მოწინავე მუშა მ. ებრაღიძემ, ფოთის პიონერების სახელით სიტყვით გამოვიდა მეორე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე გ. კალანდია, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა პ. ფრანგიშვილმა, და თ. ჭავჭავაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწე ნ. გოძინაშვილმა, ფოთის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა ს. კალანდარიშვილმა.

დამსწრე საზოგადოება ინტერესით შეხვდა კინორეჟისორ ს. დოლიძის სიტყვას, რომელმაც აღინიშნა, რომ ვ. გუნია იყო პირველი პროფესიონალი მსახიობი, რომელმაც თანამშრომლობა დაიწყო კინემატოგრაფიაში 1913 წელს და შემდეგშიც არა ერთ ქართულ ფილმში მიუღია მონაწილეობა. მაგალითად: „ხანუმა“ — (ვაჭარი ადამი), „აბრე ზაური“ — (ორბიბი), „გოგი რატანი“ — (მეგობრი) „ამიკი“ — (თერთა ქლის ქმარი) და სხვა.

დასასრულს აღინიშნა კონცერტი. ფოთის ვ. გუნის სახელობის სახელმწიფო თეატრმა დამსწრე საზოგადოებას უჩვენა ნაწყვეტი სპექტაკლიდან „მე ვხედავ მუსს“. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქ. ფოთის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებმა და პიონერთა სახლის ქორეოგრაფებმა ჯგუფმა.



ქართული სცენის კორიფეებს შორის ნუცა ჩხეიძეს საპატიო ადგილი უკავია. ნუცა ჩხეიძის შემოქმედების თავისებურება ლაღო მესხიშვილის რომანტიკული სკოლიდან მომდინარეობს. ნ. ჩხეიძის აქტიური მიღვაწეობა განსაკუთრებული შესწავლის ღირსია.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ 22 წლის ნ. ჩხეიძემ პირველი ტრაგიკოსი ქალის სახელი დაიწვინა. მან შექმნა დიდი ძალის მხატვრული სახე სუფორინისა და ბურენინის „მედიკაში“. თანამედროვეთა მოწიბობით ამ მხატვრული სახის ტრაგიკული სუნთქვა უტოლდებოდა ეგვიპტის მიერ შექმნილ მედის ტრაგიკულ გმირს.

ნ. ჩხეიძის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის პერიოდი როცა ქუთაისის თეატრის სათავეში ედვა ნ. ჩხეიძის მეუღლე ცნობილი რეჟისორი მ. ქორელი, რომელმაც ქუთაისის სცენაზე დაამკვიდრა თანამედროვე დემოკრატიული რუსული და ევროპული დრამატურგია. ნუცა ჩხეიძე თამაშობდა ნ. შიუკაშვილის „სულელში“ (ლიზა), ი. ვედევანის შვილის „მსხვერპლში“ (ნინო), ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ (ოლგა), გ. შაუპტ-მანის „დაძირულ ზარში“ (რაუტენდლინი) ზუდერმანის „მშობლიურ ქერ ქვეშ“, მაგდს, ალ. დიშლას „მარგარიტა ვოტევი“ (მარგარიტა), სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“ (იოკასტა) და სხვა. დასახელებულ როლებში ნ. ჩხეიძეს ქართულ სცენაზე მეტოქე არ ჰყავდა. ამ როლებს იგი დიდი გემოვნებით, განუმეორებელი სისადავითა და ნახი პოეტურობით ასრულებდა.

როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ნ. ჩხეიძე უკვე დიდი გამოცდილების ოსტატი იყო, თავმოყვარი ხელოვანი კრიტიკულად გაადავლო რა თვლი განვილდ შემოქმედებით გზას, 44 წლის ასაკში უარს თქვა ახალგაზრდა გმირების შესრულებაზე.

ოსტროვსკის „უდანაშაულო დამანაშავენი“ კრუჩინინას როლის განხორციელებისას მან პირველმა იპოვა გასაღები სოციალურ შინაარსის გასახსნელად და მართლაც ჩხეიძის

კრუჩინინა თავისი დედობრივი და მოქალაქეობრივი გრძნობებით მთელი თავით მალდა იდგა მის გარშემო მყოფ საზოგადოებაზე. თავისი განსაკუთრებული ქვეყნით აქტიური ხაზს უსვამდა კრუჩინინას ზნეობრივ სისპეტაკესა და ნათელ მისწრაფებებს.

უთუოდ საყურადღებოა ნ. ჩხეიძის მოღვაწეობა ქართული კინოხელოვნების განვითარების საქმეში. ახლაც სიამოვნებით ნახავთ რევოლუციურ კინოფილმს „საკანი 79“ სადაც იგი ხანდაზმული ქართველი მერძოლის, რევოლუციონერი ქალის სახით წარმოგვიდგება, ასევე ღირსშესანიშნავია იგი ცნობილ კინოფილმ „დარკოში“ სადაც მან ძალმობრობითა და უსამართლობით განქვლილი დედის ტრაგიკული სახე შექმნა. დასამახოვრებელია მის მიერ შესრულებული ჯარისკაცის დედა კინოფილმ „დიად განთიადში“ და სხვა.

ნ. ჩხეიძე არა მარტო მაღალი არტისტული ხელოვნების დაუფლებული აქტიური იყო, არამედ ლაღო მესხიშვილის სოციალურ-პოლიტიკური იდეალების მიმდევარი და თანამოაზრეც. განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის დღეებში, როცა იგი ლაღო მესხიშვილთან ერთად აღიხანოვის რაზმების წინააღმდეგ ბარკაის აგებაში იღებდა მონაწილეობას.


ქართული საბჭოთა თეატრის წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის ნ. ჩხეიძეს 1925 წელს მიენიჭა რესპ. სახალხო არტისტის წოდება. 1941 წელს იგი დაჯილდოვებული იქნა წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1951 წელს ქართული თეატრის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 1963 წლის 3 აპრილს გაიმართა საქართველოს სახალხო არტისტის ნინო ჩხეიძის დაბადების 80 და სასცენო მოღვაწეობის 65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. ბუაჩიძემ, — სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა აკადემიკოს გ. ახვლედიანს, რომელ-

მაც დამსწრეთ გააცნო ნ. ჩხეიძის მიერ გან-
ვლილი შემოქმედებითი გზა.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ თბი-
ლისის თეატრების სახელით სსრკ სახალხო
არტისტი—გ. ანჯაფარიძე, რუსული თეატ-
რის მუშაკების სახელით რესპუბლიკის სა-
ხალხო არტისტი ე. სატინა, ქართველ მეც-
ნიერთა სახელით საქართველოს მეცნიერე-
ბათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. დო-
ლიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუ-
დენტების სახელით პროფესორი ნ. ქოიავა,
ქართველ მწერალთა სახელით პოეტი აკადე-
მიკოსი გ. ლეონიძე, რესპუბლიკის პერიფე-
რიული თეატრების კოლექტივთა სახელით
სსრკ სახალხო არტისტი აკ. ვასაძე, ქართუ-
ლი კინოხელოვნების მოღვაწეთა სახელით
რეჟისორი ს. დოლოძე, ქართველ მხატვართა
სახელით თბილისის სამხატვრო აკადემიის
პროფესორი კ. სანაძე, ნ. ჩხეიძის მშობლიუ-
რი სოფლის თერინის (ზესტაფონის რაიონი)
მშრომელთა სახელით—კოლმეურნეობის თავ-
მჯდომარე: ც. გელაშვილი.



რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ემ. აფ-
ხაიძემ ნ. ჩხეიძეს მიმართა საკუთარი რეკე-
სით. მსახიობმა ტ. საყვარელიძემ წაიკითხა
გ. ტაბიძის ლექსი მიძღვნილი ნ. ჩხეიძისადმი.
იუბილარს მიესალმნენ ნორჩი პიონერები.
მას გამოუფხვანეს მრავალრიცხოვანი მისა-
ლოცი დეპუტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა
ქალაქებიდან.

საიუბილეო საღამოს დასასრულს სიტყვა
წარმოსთქვა მხტოვანმა იუბილარმა, თავისი
სამადლობელი მან ასე დაამთავრა:

„ულრმესი მადლობა ჩემს მშობლიურ ხალხს,
ჩვენს ხელისუფლებას, საქართველოს თეატ-
რალურ საზოგადოებას რომელთაც, არაფერი
არ დაიშურეს, რათა ჩემი დღესასწაული სა-
თანადო ყოფილიყო. გულითადი მადლობა
ჩემს ძველსა და ახალგაზრდა მეგობრებს,
რომლებიც ასე გულთბილად და სიყვარულით
მომესალმნენ. დიდი მადლობა თქვენ ყველას,
ჩემო ძვირფასნო. ვახიარეთ ჩემი ვახარები-
სათვის“.


გიორგი დავითაშვილის იუბილე

ქართული საბჭოთა სცენის თვალსაჩინო
ოსტატს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატს გიორგი
მიხეილისძე დავითაშვილს დაბადების 70
და სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავი
შეუსრულდა.

10 ივნისს, რუსთაველის სახელობის სახელ-
მწიფო თეატრში გაიმართა საიუბილეო სა-
ღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა
საქართველოს კულტურის მინისტრის მოად-
გილემ ა. დვალისვილიმ. მან აღნიშნა, რომ
დავითაშვილის სახელთან მკიდრად არის

დაკავშირებული ქართული საბჭოთა თეატ-
რის დაარსება, იგი იყო სცენის იმ ენთუზია-
სტთა შორის რომელნიც გამოჩენილ, საბჭოთა
რეჟისორების კოტე მარჯანიშვილსა და სან-
დრო აზნეტელთან ერთად საფუძველს უყრიდ-
ნენ ქართულ საბჭოთა თეატრს. ნიჭითა და
კეთილსინდისიერით შრომით 50 წლის მან-
ძილზე, გ. დავითაშვილმა მოიპოვა საყოველ-
თაო აღიარება და ხალხის გულწრფელი სიყ-
ვარული.

მოსსენება იუბილარის შემოქმედებითი
ცხოვრების შესახებ გააკეთა თეატრმოცდენ



ნინო შენგვირაძემ. მან აღნიშნა, რომ ხუთ ათეულ წელზე მეტია, რაც გიორგი დავითაშვილი თავის მდიდარი შემოქმედებითი შესაძლებლობით ერთგულად ემსახურება ქართულ სცენას.

დამთავრა თუ არა პეტროვისკის სასცენო ხელოვნების სკოლა, ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური სასწავლებელი მაშინდელ პეტერბურგში, გ. დავითაშვილი 1915 წელს ჩაირიცხა კრასოვის დასში, რომელიც მაშინ ტაგანროგში მუშაობდა. სამი წელი დაჰყო მან რუსეთის პერიფერიულ ქალაქების თეატრებში. 1918 წელს გ. დავითაშვილი სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო ბათუმის რუსულ დასში, მომდევნო სეზონში კი თბილისის რუსული, ე. წ. „არტოს“ დასის წევრი გახდა. 1920 წელს იგი ქართული დრამატული თეატრის სცენაზე ავიდა და მის შემდეგ აღარ მოშორებია მშობლიურ რუსთაველის თეატრს. გ. დავითაშვილი მონაწილეა პირველი ქართული საბჭოთა სპექტაკლის „ცხვრის წყაროს“, რომელმაც ქართულ სასცენო ხელოვნებაში ახალი ფურცელი გადაშალა. აქ იგი ერთ-ერთ მთავარ როლს ანსახიერებდა.

რუსთაველის თეატრის ისტორიაში მცირეა ისეთ სახელოვნებო სპექტაკლთა რიცხვი, რომელშიც დავითაშვილს მნიშვნელოვანი როლი არ შეესრულებოდა.

მისი სცენური ბიოგრაფია მის მიერვე შექმნილ სახეთა ცხოვრებაა. გ. დავითაშვილის განსაკუთრებულმა ღირსებამ იყოს მართაობა როგორც ცხოვრებაში, განაპირობა მისი შემოქმედებითი მიღწევები. ასეთია მისი ფრონდოზო და ჰამლეტი, კრისტენი („ინტერესთა თამაში“) და ფრანც მოორი („ყაჩაღები“) მეგონი („გმირი“) და ფონ შტუბე („არღვევა“). ოთარ ბევი და ზაალ ბარათაშვილი. ასამდე როლი აქვს მას განსახიერებულში. ასეთი მდიდარი და მრავალფეროვანი ადამიანთა ხასიათების შექმნა მხოლოდ ჭეშმარიტ ნიჭიერებას ძალუძს!

გ. დავითაშვილის მიერ ხორცილსხმული სახეები თანამედროვე რეპერტუარიდან, ბონდო („განგაში“), ინჟინერი პარუშინი („ლინდაგი გუგუნებს“), ბროკვი („ინტერვენცია“), ვინოგრადოვი („გამარჯვებულნი“), სერგეი („სადგურის უფროსი“), მამლოკი („პროფესორი მამლოკი“), მელდგვი („კიკვიძე“), ტრუბნიკოვი („ვირის ჩრდლი“), — შექმნი-

ლია ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვებით, ტიპური განზოგადებით. გ. დავითაშვილის შემოქმედებითი წარმატების ერთ-ერთ მიზეზს მისი სცენური მომხიბვლელობა წარმოადგენს მისი ლამაზი ხმა და ბრწყინვალე გარეგნობა დიდ შემოქმედებას ახდენს მაყურებელზე.

მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის გიორგი დავითაშვილს ქართული კინოხელოვნების წინაშეც. ჯერ კიდევ ადრე, კინემატოგრაფიის გარიჟრაჟზე, იგი გადაღებულია ისეთ მუნჯ ფილმებში, როგორიცაა „სურამის ციხე“ (წერეთლის ვაჟი). „მოდლიანი“ (ონისე), „ლინა-ძაძე“ (თთარხან დადღე-შველიანი), „თავადის ასული მერი“ (გარუნ-ნიციკი), „შემდეგში კი — უკვე ხმოვან ფილმებში შექმნა კათალიკოსისა („გიორგი სააკაძე“) და სულხან-საბას („დავით გურამიშვილი“) საინტერესო სახეები. გ. დავითაშვილს ჯერ კიდევ 1934 წელს მემიქნა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. იგი დაჯილდოვებულია პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიით, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედალებით. გიორგი დავითაშვილი ვალმოხდელია თავისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე, — ხალხისა, რომელიც დიდად აფასებს მას.

მოხსენების შემდეგ იუბილარს მისვალმენ: საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით — მწერალი მ. მრეველიშვილი, თეატრალური საზოგადოებისა და თბილისის თეატრების სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელით — თ. ჯანელიძე, საქართველოს მხატვართა კავშირის სახელით — პროფესორი კ. სანაძე, გრიბოედოვის სახელობის თეატრის სახელით — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ბელოუსოვა და მ. პოასეკი, ბათუმის თეატრის სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ხინკაძე, მარჯანიშვილის თეატრის სახელით — სსრ კავშირის სახალხო არტისტები ვ. ანჯაფარიძე და ვ. გოძიშვილი. ფილარმონიის გუნდმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის მ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით იუბილარის პატივსაცემად შეასრულა ორი ქართული ხალხური სიმღერა.

მხურვალედ მისვალმა საყვარელ მსახიობს რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივი.

საზემო ნაწილის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. აქ აღსანიშნავია თვით იუბილარის მიერ „სამშობლოს“ ერთ-ერთი სცენის გათამაშება. გ. დავითაშვილმა განასახიერა ლევან ხიმშიაშვილის სწორედ ის როლი, რომლითაც მან ქართულ სცენაზე მოღვაწეობა დაიწყო.

სალამოს დასასრულს გიორგი დავითაშვილ-

მა წარმოთქვა გულწრფელი სამადლობლო სიტყვა.

თეატრის ფოიეში, საქართველოს სათეატრო და რუსთაველის თეატრის მუზეუმებში მოაწყეს დიდი და საინტერესო გამოვენა, მიძღვნილი იუბილარის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის შალვა ბეჟუაშვილის

შემოქმედებითი საღამო

მიმდინარე წლის 11 მაისს, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ხელშეწყობის მუშაკთა სახლთან ერთად, შემოქმედებითი საღამო მოუწყო რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს შალვა ბეჟუაშვილს, მისი დაბადებიდან 70 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 45 წლის-თვის შესრულების გამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, რომელმაც მოკლედ აღნიშნა შალვა ბეჟუაშვილის დამსახურება, როგორც ქართული თეატრის, ისე ქართული კინემატოგრაფიის განვითარების საქმეში. შემდეგ შალვა ბეჟუაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა.

მომხსენებელმა ვრცლად დაახსიათა შ. ბეჟუაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა. მან აღნიშნა, რომ შ. ბეჟუაშვილი ჯერ კიდევ პაბუკობის წლებში გაიტაცა თეატრის სიყვარულმა. პირველი როლი რომელიც მან ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწიფეთა

თეატრში კოლექტივში შეასრულა იყო რევაზი, ა. წერეთლის „პატარა კახში“. ამ დღიდან იწყება შ. ბეჟუაშვილის მოუსვენარი და საინტერესო ცხოვრება. იგი მკიდროდ უკავშირდება ქუთაისის თეატრს, რომელსაც მაშინ გამოჩენილი ქართველი მსახიობი ლადო მესხიშვილი ხელმძღვანელობდა.

1915-16 წლების სეზონში ბეჟუაშვილი ბაქოს ქართული თეატრში მუშაობდა. ამ თეატრს მაშინ შ. დადიანი და ალ. წუწუნავა ხელმძღვანელობდნენ. სულ მალე იგი ქართული თეატრის პროფესიული მსახიობი ხდება, შ. ბეჟუაშვილს თავისი სასცენო მოღვაწეობის 45 წლის მანძილზე ქუთაისში, ბათუმში, ქიათურაში, ბაქოსა და თბილისის რუსთაველის თეატრში შესრულებული აქვს იორასზე მეტი დიდი და პატარა როლი, რომელთაგან დამაჯიხთებელია: კოწია შ. დადიანის „გუშინდელში“, გოროდნიჩინ. გოგოლის „რევიზორში“, ბერსენევი ბ. ლავრენიევის „რდევვაში“, გაიოზი გუნიას „დაძმაში“, დარისპანის დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაქირში“, ყვარყვარე პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“, ატაკუტა რამიშვილის „სტუმარ-მასპინძელში“ და მრავალი



სხვა. აღსანიშნავია, რომ შ. ბეჟუაშვილი თანამიმდევრული შესაძლებლობით ანსახიერებდა როგორც დრამატიულ, ისე სახასიათო და კომედიური როლებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი გარდა თეატრისა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას გწევა ქართულ კინემატოგრაფიაშიც. შ. ბეჟუაშვილის მიერ კინოში განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია ალექსი კალმახელიძე ფილმ „დაკარგულ სამოთხეში“, მანუჩარი — „კოლმეურნის ქორწინებაში“, წერეთელი „ბაშა-აჩუკში“ და ზოგიერთი სხვა. შ. ბეჟუაშვილი დღესაც განაგრძობს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სადუბლიაჟო ჯგუფში მუშაობას, სადაც არა ერთი და

ორი ფილმი აქვს ქართულად გახმოვანებული. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის შ. ბეჟუაშვილს მინიჭებული აქვს საქ. სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

სალამოზე იუბილარს გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორი არჩ. ჩხარტიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: პ. კობახიძე, გ. საღარაძე, ვ. ნინიძე, ემ. აფხაიძე, თეატრმცოდნე ნ. შვაგვირაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. აბაშიძე, დრამატურგი ვ. პატარაია და ირ. უჩანეთიშვილი.

ჰრაჩია სიმონიანის შემოქმედებითი სჯავი

ამა წლის 15 აპრილს შაუშიანის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, სომხური დრამის თეატრის აღმინისტრაციასთან ერთად, მოაწყო ამავე თეატრის ამაგდარი შემოქმედის, მსახიობ ჰრაჩია სიმონიანის სასცენო მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრის დირექტორმა ანხ. ი. ა. შამიანმა. მოხსენება „ჰრაჩია სიმონიანის შემოქმედებითი გზა“ წაიკითხა სომხური დრამის მსახიობმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. კაჯვორიანმა.

შომხსენებელმა აღნიშნა, რომ პ. სიმონიანი 1933 წელს ავიდა სცენაზე და ამ ხნიდან დაწყებული მთელს სამი ათეული წელი დაუ-

ღლაავად და ნაყოფიერად მოღვაწეობს კეთილშობილურ ასპარეზზე. ჰრაჩია სიმონიანის მდიდარი სცენიური მონაცემები ჩამოყალიბდა და თანდათანობით განვითარდა თბილისის მოზარდმეყურებელთა სომხურ თეატრში, სცენის ისეთ დიდ ოსტატთან, როგორც იყო რეჟისორი და პედაგოგი სტეფანე ქაფანიანი. ამ თეატრში ჰრაჩია სიმონიანის მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი სახეები გადაიქცნენ მოზარდების საყვარელ გმირებად, თვით იგი კი მათ საყვარელ არტისტებად.


1945 წლიდან სიმონიანი თბილისში სტ. შაუშიანის სახ. სომხური დრამის თეატრშია და შემოქმედებით მუშაობას აწარმოებს რეჟისორებთან ფ. ბეკიანთან, ა. აბარიანთან და კ. უნიკიანთან. ამ თეატრში მუშაობის სამი ათეული წლის მანძილზე სიმონიანმა გა-

მოძერწა მრავალი სცენიური სახე დასავლეთ ევროპული, სომხური, ქართული, რუსული და საბჭოთა დრამატურგიის გმირებისა. შესრულებულ როლებს მიმართ მსახიობი ყოველთვის იჩენდა სერიოზულ მიდგომას. მის მიერ შექმნილი სახეები გამოირჩევიან რელიეფურობით, სიცხოველით და შთამბეჭდაობით. ჰრაჩია სიმონიანს კარგად ემარჯვება ვადმოგვეცეს ის მთავარი, დამახასიათებელი და ღირსშესანიშნავი, რაც მის მიერ შექმნილ სახეებს აქცევს მთლიან, სრულყოფილ და დამაჯერებელ ხასიათებად. ჰრაჩია სიმონიანი თბილისის სტ. შაჰმუხამანის სახ. სომხური სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთ მოწინავე მსახიობია. იგი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში იმყოფება და საბჭოთა მყურებელი კიდევ მრავალ წარმატებას მოეღოს ამ ნიჭიერი ოსტატისაგან.

მოხსენების შემდეგ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების განყოფილების ინსპექტორმა მ. გოგოლაშვილმა წაიკითხა ბრძანება ამაჰ. ჰრაჩია სიმონიანის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ: საქართველოს თეატრალური საზოგადოებების პრეზიდიუმის სახელით—საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. იაკაშვილი, ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის თეატრის სახელით,—საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ს. ისნელი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის სახელით—მწერალი ს. ავაიანი, კერამიკული კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა სახელით—კომუნისტური შრომის ზრიგადის წევრი ბერზიკიანი, შაჰმუხამანის სახელობის სახელმწიფო სომხური თეატრის კოლექტივის სახელით—საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. აბრამიანი და სხვანი.

წაკითხულ იქნა იუბილარის სახელზე მოსული დეპეშები სომხეთის სსრ კულტურის სამინისტროს, სომხეთის თეატრალური საზოგადოების, ერევნის, ლენინაკანის, კიროვაკანის, კიროვადლის სახელმწიფო თეატრების კოლექტივებისაგან და სხვა:



მოღვაწეობა

1963 წლის II კვარტალში

აკრილი—მინი—იჰენი


საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გარდაიშე მუშაობისა, რომელიც „წიამბისა“ ამ ნომერშია მოკლედ გაშუქებული რესპუბლიკის სახელმწიფო და სახალხო თეატრების კოლექტივებში ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები:

თეატრალური საზოგადოების მოწვევით ლენინგრადის გორკის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა გიორგი ტოვსტონოვოვმა ინახულა თბილისის თეატრების სპექტაკლები—რუსთაველის თეატრში—„როცა ასეთი სიყვარულია“, მარჯანიშვილის სახ. თეატრში—„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ვრიხოვდოვგის სახ. თეატრში—„პალატა“ და ამ სპექტაკლების შესახებ ჩაატარა საუბარი აღნიშნული თეატრების კოლექტივებთან. გარდა ამისა ამხ. ტოვსტონოვოვმა თეატრალურ ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება მსახიობის აღზრდის შესახებ. ამავე საკითხზე მან ისაუბრა თბილისის რუსულ მოზარდ მყურებელთა თეატრის დასთანაც.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ რაჭა-ლეჩხუმში მიაღწინა ბრიგადა დრო-

მატურგ აკ. დევიძისა და თეატრმცოდნე ელ. კვიციანიას შემადგენლობით. ბრიგადამ განიხილა ცაგერის სახალხო თეატრის სპექტაკლები — „დახუნდარა“, „ცხოვრების ჯარა“, და „ახალგაზრდა მასწავლებელი“. ონის სახალხო თეატრში—„ტელევიზორი“, „ეოლგა“ და „მუნჯები ალაპარაკდნენ“, ხოლო ამბროლაურის სახალხო თეატრში—„ზემ სოფელში“, „დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა“ და „ადამიანი იბადება ერთხელ“.

ამავე პერიოდში თეატრალური საზოგადოების ხაზით წაკითხული იქნა მოხსენებები: „თბილისის თეატრების მიმდინარე დადგმები“—შომხსენებელი ელ. ლუცკაია (მოსკოვი); „მსახიობის მუშაობა როლზე“ და „რეჟისორის მუშაობა მსახიობთან“, თელავის თეატრის დასისათვის მომხსენებლები—საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე გ. იაკაშვილი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. გომიაშვილი; „საქართველოს თეატრალური საზოგადოების მუშაობა და მისი ამოცანები“—მხარამის თეატრის კოლექტივისათვის,— მომხსენებელი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ნინიძე.



КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

ЗА ИДЕОЛОГИЧЕСКУЮ ЧИСТОТУ СОВЕТСКОГО ИСКУССТВА (передовая)

В статье говорится о чрезвычайном значении решений шоньского пленума ЦК КПСС по идеологическим вопросам, о том, что весь советский народ борется за ленинскую принципиальность в идеологической борьбе, за недопустимость компромиссов в идеологии, о глубокой убежденности советских художников в то, что лишь принципиальное, последовательное проведение марксистско-

ленинского мировоззрения может привести к победе коммунизма. Решения шоньского пленума и выступления Н. С. Хрущева по вопросам идеологии — программа деятельности — советского искусства. Нет сомнения в том, что многочисленная армия творческих работников советского Союза с честью выполнит ее.

П Л Е Н У М Ы

Объединенный пленум Союза Советских писателей Грузии и Грузинского Театрального Общества

Объединенный, внеочередной пленум Союза Советских писателей Грузии и Грузинского Театрального Общества был посвящен вопросам борьбы за высокую идейность и мастерство в литературе и искусстве.

Пленум открыл секретарь ЦК КП Грузии тов. Д. Г. Стурра. С обстоятельным докладом выступил секретарь правления Союза Советских писателей Грузии тов. С. Чилая. Он говорил об огромном значении выступления тов. Н. С. Хрущева на встрече руководителей партии и правительства с писателями и деятелями искусства, о своевременности и необходимости вмешательства партии в деятельность работников литературы и искусства. После обзора творческой продукции грузинских писателей докладчик подчеркнул, что грузинские писатели всегда были верны реалистической, высоко идейной литературе, тесно связанной с народом. Среди грузинских писателей нет абстракционистов, хотя есть ошибки и заметно некоторое увлечение части

писательской молодежи стилизаторством и модернизмом. Докладчик говорил о необходимости тесной связи писателей с работниками театра и кино.

В развернувшихся после доклада прениях приняли участие писатели Гр. Абашидзе, К. Каладзе, Н. Чачава, К. Гамсахурдия, Д. Шенгелая, Эм. Фейгин, критик В. Жентри, режиссер А. Чхартишвили, председатель президиума Театрального Общества Грузии Д. Антадзе, нар. арт. СССР Верико Анджапаридзе и др. Смысл их выступлений сводился к признанию невозможности сосуществования в идеологии искусства на службу коммунистического воспитания человека, единодушному признанию политики партии в области искусства. Ораторы призвали вслэческий поддержать мероприятия, намеченные IV Пленумом Союза писателей СССР и совещанием ЦК Компартии Грузии.

Работу объединенного пленума подытожил секретарь ЦК КП Грузии тов. Д. Г. Стурра.



14-15 мая 1963 г. в государственном театре оперы и балета им. З. Палиашвили состоялся объединенный пленум Грузинского Театрального Общества и Союза композиторов Грузии. Пленум открыл первый секретарь правления Союза композиторов Грузии, нар. арт. СССР, композитор А. Мачавариани.

Главным вопросом пленума являлась творческая жизнь театра оперы и балета им. Палиашвили. С докладом выступил заведующий музыкальным отделом Министерства Культуры Груз. СССР, музыковед А. Цулукидзе. Докладчик говорил о значении театра оперы и балета в деле эстетического воспитания людей, о взаимосвязях музыкальных культур всех стран, о росте оперного искусства Грузии, о новых грузинских операх, их достоинствах и недостатках, как в музыкально-вокальном, так и в постановочном отношении. Говорил о пополнении коллектива новыми силами, об оркестре, хоре, дирижерах, режиссуре; о балете, о традициях грузинского балета, о необходимости новых поисков в балете; критиковал репертуар театра, в котором в течение 30 лет встречаются одни и те же названия. Говорил о необходимости ранообразить его именами новых авторов.

В прениях по докладу выступили: музыковед М. Пичхадзе, театровед Э. Гугушвили, проф. П. Хучуа, композиторы И. Туския и А. Шаверзашивили, дирижеры О. Димитриа-

ди и Г. Азмайпарашвили. Докладчик Театрального института им. Руставели проф. И. Тавадзе, актеры оперного театра Шушаниа и Буцхрикидзе. Они соглашались с докладчиком в вопросе о критике работы театра, об однообразии репертуара, говорят о тяжелом положении оркестра, о необходимости пополнения его новыми кадрами, об отсутствии высококвалифицированного хормейстера. Выступающие товарищи вносят ряд предложений: показать вновь подготовленный оперный спектакль до его выпуска на сцену в концертном исполнении для публичного обсуждения, включить в работу над балетом кроме Чабукиани других балетмейстеров из других театров, открыть в театральном институте им. Руставели балетмейстерский факультет. Они советуют уделять больше внимания профессиональному росту молодых кадров с большой ответственностью относиться к идейному и художественному качеству либретто, а также к рецензиям, которые часто рассчитаны на профессионалов, а не на рядового читателя, на основную читательскую массу.

Директор театра Д. Мchedлидзе говорил о перспективах театра, высказав веру в улучшение работы театра в дальнейшем.

Работу пленума подытожил председатель Союза композиторов Грузии А. Мачавариани. Пленум принял соответствующее постановление.

Выставка произведений Петре Оцхели

31 марта в государственной картинной галлерее, по инициативе театрального Общества, Союза художников и Художественного фонда Грузии открылась выставка произведений выдающегося деятеля советской культуры, замечательного художника советского театра Петре Оцхели.

На открытии и закрытии выставки присутствовали деятели различных отраслей науки и искусства — театроведы, искусствоведы, художники, режиссеры, актеры, композиторы, среди них: Д. Антадзе, Д. Джанелидзе, К. Кукуладзе, В. Таблиашвили, Н. Тряскин, В. Беридзе, С. Челидзе, К. Санадзе, В. Анджапаридзе, О. Эгидзе,



Д. Тавадзе, Е. Ахведиани, Л. Гудиашвили, Т. Вазвашивили. Они много и интересно говорили о творчестве П. Оцхели, его блестящем таланте, скромности и простоте, строгой требовательности к себе и другим. Отмечали его поразительное умение проникнуть в идейную сущность

произведения, ощутить стиль. Говорили о праздничности его творчества, что характеризует его как подлинного ученика К. Марджанишвили, о необходимости создания иллюстрированного альбома произведений П. Оцхели и демонстрации экспозиции в других городах нашей страны.

Театральные впечатления

ВТО и Театральное Общество Украины для ознакомления с выставкой П. Оцхели командировали в Тбилиси художника Н. Н. Трякина и искусствоведа Е. Т. Луцкую. 27 апреля Е. Т. Луцкая поделилась своими впечатлениями от пребывания в Тбилиси с членами президиума Театрального Общества Грузии. В произведениях П. Оцхели ее поразила широта диапазона, графическое мастерство театральных эскизов и нетеатральных работ. Она считает, что в театрально-декоративном искусстве П. Оцхели развивается линия Ираклия Гамрекели Е. Т. Луцкая говорит об абсолютной монолитности оформления спектакля „Уриэль Акоста“, пластической остроте декораций, лаконичности выразительных средств и музыкальной ритмичности линий. Рассказывая о своих впечатлениях от

спектакля „Дерева умирают стоя“, она подчеркнула мастерство Верико Анджапаридзе в роли бабушки и дала высокую оценку спектаклю „Я вижу солнце“, как эстетическому показу правды со сцены. Она считает этот спектакль народным и глубоко партийным.

В спектакле театра им. Руставели „Разлом“ Е. Луцкая была поражена величием массовых сцен, созданных Ахметели, меньше понравились камерные.


В постановке „Сотворившей чудо“ Гибсона Е. Луцкая отметила интересный и правильное решение образа Анны Сюллиев актрисой С. Канчели. Она дала выводную оценку образу Пиромани, созданного С. Закариадзе, и последовательности его смыслового и художественного развития в целом.

Диспут вокруг спектакля „Я вижу солнце“

Диспут вокруг спектакля театра им. Марджанишвили „Я вижу солнце“ состоялся 7 мая 1963 г. в зале заседаний Дома Работников искусств Грузии. Открыл диспут редактор журнала „Сабчота хеловнеба“ О. Эгвадзе. С докладом выступил кандидат искусствоведения Ш. Мачавариани. Он говорил о традициях грузинской комедии на сцене театра им. Марджанишвили, спектакль „Я вижу солнце“ он признал продолжением этой традиции, а автора произведения Н. Думбадзе — талантливым продолжа-

телем грузинской юмористической школы.

Постановку режиссера Г. Лордкипанидзе докладчик оценивает как высокопрофессиональный, зрелищно богатый, верно решенный спектакль. Подробно остановившись на художественном оформлении О. Литанишвили, он согласился словностью решения, хотя находит, что условность эта порой нарушена. Резко выступив против элементов натурализма в спектакле докладчик подробно разобрал актерские образы, ведущие и не ведущие роли, основные



исполнителей и дублеров. Ш. Мачавариани считает спектакль „Я вижу солнце“ значительной победой театра.

Впренях принял участие—театровед Е. Квириквели, драматург Л. Милорава, критик В. Мачавариани,

актер Г. Кавтарадзе и автор пьесы Н. Думбадзе. Постановщик спектакля Г. Торджипанидзе в ряде вопросов не согласился с докладчиком.

Ход прений подытожил председатель диспута О. Эгадзе.

ЮБИЛЕИ И ТВОРЧЕСКИЕ ВЕЧЕРА

Юбилейные дни Валерияна Гуния в Грузии.

В статье дается подробный отчет о мероприятиях, проведенных в Грузии в связи со столетием со дня рождения выдающегося артиста, драматурга и общественного деятеля В. Гуния.

18 мая состоялась научная сессия, посвященная жизни и деятельности В. Гуния, 20 мая—юбилейный вечер в театре Оперы и балета им. З. Палиашвили. В связи с юбилейными днями потийского театра было присвоено имя В. Гуния. В юбилейные дни литературный музей Грузии, совместно с Домом Куль-

туры города Цхакая организовал выездную сессию, посвященную жизни и творчеству В. Гуния. Постановлением Исполкома Райсовета г. Цхакая одной из улиц города присвоено имя В. Гуния. 28 мая в Доме Культуры г. Потий силами киностудии „Грузия—Фильм“ состоялась лекция, посвященная юбилейной дате. После лекции был показан фильм „Закон гор“, с участием В. Гуния. 29 мая в потийском театре состоялась научная сессия и юбилейный вечер, посвященный В. Гуния.

Большой художник и гражданин

3-го апреля 1963 г. в театре оперы и балета им. З. Палиашвили состоялась юбилейный вечер, посвященный 80 летию со дня рождения и 65 летию творческой деятельности нар. арт. Груз. ССР Н. П. Чхеидзе. В статье дается краткий обзор творчества Н. Чхеидзе, как выдающейся трагической артистки романтической школы грузинского сценического искусства. Затем проводится отчет о юбилейном вечере,

который открыл министр культуры Грузинской ССР Т. Буачадзе. С докладом о жизни и творчестве Н. Чхеидзе выступил академик Г. Ахвледиани. Юбиляра тепло приветствовали выдающиеся представители науки и искусства, общественные организации, студенты, пионеры. В заключительном концерте участвовали лучшие силы грузинского искусства.

Юбилей Георгия Давиташвили

10 июня 1963 г. в театре им. Руставели состоялась юбилейный вечер, посвященный 70 летию со дня рождения и 50 летию сценической деятельности нар. арт. республики, лауреата Государственной премии Г. М. Давита-

швили. Вечер открыл зам. министра культуры Грузинской ССР А. Двалишвили. С докладом о творческой жизни юбиляра выступила театровед Н. Швангирадзе. После доклада юбиляра приветствовали писатели, худож-

ники, музыканты, актеры других театров республики и коллектив театра Руставели. В концерте принимал участие сам юбиляр, который сыграл отрывок из „Родины“. Д. Эрис-

тави—роль Левана Химшиашвили, свою первую роль на грузинской сцене. В фойе театра была устроена выставка, посвященная жизни и творчеству Г. Давиташвили.

Творческий вечер заслуж. арт. Груз. ССР Ш. Бежуашвили

11 мая 1963 г. Театральное Общество Грузии совместно с Домом Работников Искусств устроило творческий вечер засл. арт. респ. Ш. Бежуашвили в связи с 70-летием со дня его рождения и 45-летием сценической деятельности. Вечер открыл председатель президиума Театрального Об-

щества Грузии нар. арт. республики Д. Антадзе. С докладом о жизни и творчестве Ш. Бежуашвили выступил нар. арт. респ. П. Прангвишвили. Он обстоятельно разобрал творчество Ш. Бежуашвили в театре и кино. Юбиляра тепло приветствовали работники театров и кино.

Творческий вечер Грация Симоняна

15 апреля 1963 г. в Гос. театре армянской драмы им. Шаумяна состоялся вечер, посвященный 50-летию сценической деятельности актера театра Грация Симоняна. Вечер открыл директор театра Н. Манян. С докладом о творческом пути Г. Симоняна выступил засл. арт. респ. А. Каджворян.

После доклада было оглашено постановление о награждении юбиляра почетным знаком Министерства Культуры и Республиканского комитета работников культуры. Юбиляра тепло приветствовали представители многочисленных художественных и общественных организаций.

Деятельность Театрального Общества Грузии

Второй квартал 1963 г.

Апрель—Май—Июнь

Кроме мероприятий, освещенных в данном номере „Вестника“, Театральным Обществом Грузии проведены следующие мероприятия: по его приглашению нар. арт. СССР, лауреат Ленинской премии Г. А. Товстоногов ознакомился со спектаклями театров им. Руставели, Марджанишвили и Грибоедова, провел ряд бесед с коллективами этих театров, а также в театральном институте им. Руставели и русском ТЮЗе.

В Рача-Лечхуми была командирована бригада в составе театроведа Е. Квирквелия и драматурга К. Девидзе, с целью изучения спектаклей Цагерского народного театра.

Были прочитаны лекции в театральных коллективах разных городов Е. Луцкой, Г. Якашвили, Н. Годзишвили, В. Нинидзе.

შ ი ნ ა ა რ ს ი

83.

იდეოლოგიური სიმტკიცისათვის, იდეური ხელოვნების სიწმინდისათვის 3

კ ლ ე ნ უ მ ე ბ ი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების გაერთიანებული პლენუმი 5

საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გაერთიანებული პლენუმი 9

პეტრე ოცხელის ნაწარმოებების გამოფენა 14

თეატრალური შთაბეჭდილებანი 19

დისპუტი სპექტაკლებზე „მე ვხედავ მზეს“ 23

იუბილეები და შემოქმედებითი საღამოები

ვალერიან გუნიას საიუბილეო დღეები საქართველოში 28

დიდებული ხელოვანი და მოქალაქე 30

გიორგი დავითაშვილის იუბილე 31

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის შალვა ბეჟუაშვილის შემოქმედებითი საღამო 33

ჰრაჩია სიმონიანის შემოქმედებითი საღამო 34

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა 1963 წლის II კვარტალში 36

მოკლე ანოტაცია 37

О Г Л А В Л Е Н И Е

стр.

<i>За идеологическую чистоту Советского искусства</i>	3
---	---

П Л Е Н У М Ы

<i>Объединенный пленум союза Советских писателей Грузии и Грузинского Театрального Общества</i>	5
<i>Объединенный пленум Театрального Общества и Союза композиторов Грузии</i>	9
<i>Выставка произведений Петре Оцхели</i>	14
<i>Театральные впечатления</i>	19
<i>Диспут вокруг спектакля „Я вижу солнце“</i>	23

ЮБИЛЕИ И ТВОРЧЕСКИЕ ВЕЧЕРА

<i>Юбилейные дни Валерияна Гуния в Грузии</i>	28
<i>Большой художник и гражданин</i>	30
<i>Юбилей Георгия Давиташвили</i>	31
<i>Творческий вечер Ш. Бежуашвили</i>	33
<i>Творческий вечер Грация Симоныа</i>	34
<i>Деятельность театрального Общества Грузии во втором квартале 1963 г.</i>	36
<i>Краткая аннотация</i>	37





НА ПРАВАХ РУКОПИСИ

Т О Г
В Е С Т Н И К
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)

Тбилиси—1963

№ 2 (24)

0 / 32

